პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი 29 დეკემბერი 1939 წ. № 299 (5699) ფასი 10 კაპ.

გუშინ, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიხსნა ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს პირველი სესია. სესიის მუშაობა მიმდინარეობს ბოლშევიკური საქმიანობის ვითარებაში. დეპუტატებმა უდიდესი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება თბილისის საქალაქო საბჭოს პირველ დეპუტატს, ხალხთა ბრძენ ბელადს დიდ სტალინს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია

ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი სესია მგზნებარე გულითად სალამს გიძღვნის თქვენ—ხალხთა დიდ ბელადს, ჩვენს მამას, მასწავლებელსა და მეგობარს.

ამ დღეებში, უდიდესი საყოველთაო-სახალხო აღფრთოვანების დღეებში, რომელმაც კიდით-კიდემდე მოიცვა მთელი ჩვენი ძლიერი და მშვენიერი ქვეყანა, ჩვენ უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სიტყვებს გიძღვნით თქვენ, ჩვენი ბედნიერი და სამური ცხოვრების შემოქმედს, სოციალისტური შრომის პირველ გმირს.

ჩვენ ბედნიერნი ვართ შევუერთოთ ჩვენი მგზნებარე სალამი ხალხის მისალმებათა იმ დაუსრულებელ ნაკადს, რომელიც მომართულია ამ დღეებში თქვენდამი, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, თქვენი დაბადების სამოცი წლისთავთან დაკავშირებით.

თქვენს სახელში, რომელიც ყველაზე ძვირფასი და მახლობელია მილიონობით საბჭოთა ადამიანებისათვის, მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის, განსახიერებულია სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი, საბჭოთა კავშირის ხალხების მიერ მოპოვებულნი, განსახიერებულია კომუნიზმის მომავალი გამარჯვებანი.

სტალინის სახელით მიდიოდნენ 24 დეკემბერს თბილისის და მთელი სოციალისტური საქართველოს ამომრჩევლები საარჩევნო ყუთებთან, რათა თავიანთი ხმები მიეცათ კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებისათვის.

კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრმა სტალინურმა ბლოკმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა!

24 დეკემბრის დღე ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის კიდევ ერთი ბრწყინვალე დამადასტურებელი გახდა.

ხმას აძლევდნენ რა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს, საბჭოთა ამომრჩევლები ხმას აძლევდნენ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას, ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნულ პოლიტიკას.

როგორც არასოდეს შემჭიდროებულია ახლა 183-მილიონიანი საბჭოთა ხალხი ლენინ-სტალინის უძლეველი პარტიის გარშემო, თავისი დიდი და საყვარელი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის გარშემო.

თბილისის მუშებმა და ინტელიგენციამ ერთსულოვნად აგირჩიეს თქვენ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, თავიანთ პირველ დეპუტატად თბილისის საქალაქო საბჭოში. ცნობამ ამის შესახებ უდიდესი აღმავლობა და აღფრთოვანება გამოიწვია თბილისის მშრომელებში და მთელ ქართველ ხალხში, რომელნიც სასახელოდ გაამართლებენ თქვენს მაღალ ნდობას.

მთელ ჩვენს სადეპუტატო მუშაობაში ჩვენ ყოველთვის თვალწინ გვედგომება თქვენი დიადი სახე. ჩვენ სტალინურად ვიბრძოლებთ ჩვენი ხალხის ბედნიერი ცხოვრების ახალი აყვავებისათვის, სოციალისტური სამშობლოს ახალი გამარჯვებებისათვის.

პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, მთელი ჩვენი ძალღონე, მთელი ჩვენი ცოდნა მოვახმაროთ იმას, რომ კიდევ უფრო ავამაღლოთ საბჭოთა კავშირის—მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს სამეურნეო და სამხედრო ძლიერება.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად და უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს კომუნისტთა და უპარტიოთა მძლავრ სტალინურ ბლოკს!

გაუმარჯოს ხალხთა ბელადს, მშრომელი კაცობრიობის იმედსა და ბედნიერებას — ჩვენს მშობლიურ და საყვარელ სტალინს!

ამასწინანდელი კონფლიქტის რაიონში

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და მანჯოუ-გოს შორის საზღვრის დამზუსტებელი შერეული კომისიის საერთო კომუნიკე

1939 წლის 25 დეკემბერს ქალაქ ჩიტაში შესდგა შერეული კომისიის მეორე სხდომა. ამ სხდომაზე ხელმოწერილ იქნა შეთანხმება კომისიის შემდგომი მუშაობის წესის შესახებ. მოლაპარაკება ამასწინანდელი კონფლიქტის რაიონში საზღვრის დაზუსტების შესახებ ნორმალურად მიმდინარეობდა და 1940 წლის 7 იანვრიდან გაგრძელდება ქალაქ ხარბინში მანჯოუ-გოს ტერიტორიაზე. (საკდესი).

შეთანხმება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესახებ

ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოსა და გერმანიის სააქციო საზოგადოება „ლიუფტგანზას" შორის სწარმოებდა მოლაპარაკება სსრ კავშირსა და გერმანიას შორის რეგულარული საჰაერო მიმოსვლის დამყარების შესახებ.

მოლაპარაკება მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა და დამთავრდა ორივე ორგანიზაციას შორის შეთანხმების ხელმოწერით, რომელიც ითვალისწინებს 1940 წლის 21 იანვრიდან რეგულარულ ყოველდღიურ ფრენას მოსკოვ - ბერლინის ხაზზე მინსკსა, ბელოსტოკსა, კენიგსბერგისა და დანციგზე გავლით.

1940 წლის 8 იანვრიდან მოახდენენ რამდენიმე საცდელ ფრენას.

შეთანხმების ხელის მოწერას დაესწრნენ: აეროფლოტისაგან — ამხ. **კარტუშევი, ზახაროვი, ცეხანოვიჩი** და საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. **გრიზოდუბოვა**; „ლიუფტგანზისაგან" —ბატონი **ვრონსკი, ვილკინსი** და **ზიკარდტი**. (საკდესი).

მოსკოვში ჩამოვიდა ბულგარეთის სავაჭრო დელეგაცია

27 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ბულგარეთის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ფინანსთა მინისტრი ბ-ნი **ბოჟილოვი**. დელეგაციის შემადგენლობაში არიან — ნაციონალური ბანკის დირექტორი — ბ-ნი **გუნევი**, რკინიგზისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს წყლის გზების განყოფილების გამგე ბ-ნი **სლავიანოვი**, საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური სექციის გამგე ბ-ნი **დობრევი**, მიწათმოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი ბ-ნი **კოსტოვი**, ვაჭრობისა, მრეწველობისა და შრომის სამინისტროს სავაჭრო განყოფილების გამგე ბ-ნი **ხარაფოვი**, ბულგარეთ-საბჭოთა სავაჭრო კამერის თავმჯდომარე ბ-ნი **ვასილევი**.

ჩამოსულთ კიევის ვაგზალზე შეეგებნენ: საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ვ. გ. დეკანოზოვი**, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ვ. ი. კუზმინოვი**, ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. **ვ. ფ. პოპოვი**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ამხ. **ვ. ნ. ბარკოვი**, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის ახლო-აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ამხ. **ნ. ვ. ნოვიკოვი** და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ხელშეკრულებათა განყოფილების უფროსის მოვალეობის აღმსრულებელი ამხ. **დ. დ. მიშუსტინი**, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საოქმო ნაწილის გამგე ამხ. **ს. ა. ვშივკოვი**, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ბულგარეთის საქმეთა რეფერენტი ამხ. **ა. ვ. ბელიაევი** და ბულგარეთის მისიის მთელი შემადგენლობა ბულგარეთის დესპანის ბ-ნ **ანტონოვის** მეთაურობით.

ოპერატიული ცნობა

ლენინგრადის სამხედრო ოლქის შტაბისა

27 დეკემბრის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

ჩვენი ავიაცია საზვერავ ფრენას აწარმოებდა.

O

28 დეკემბრის განმავლობაში ფრონტზე არავითარი მნიშვნელოვანი რამ არ მომხდარა.

28 დეკემბრის სხდომა

გუშინ სალამოს, გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიხსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

დარბაზი აივსო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებით. ლოჟებში არიან დეპუტატები: **კ. ნ. ჩარკვიანი, ვ. მ. ბაქრაძე, კ. ნ. შეროზია, მ. ი. ჯაში, ფ. ე. მახარაძე, ი. ვ. ტიულენევი, ა. ნ. რაფავა, ს. მ. იშხანოვი**, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი კადრების დარგში **ა. ე. თოფურიძე** და სხვ. დარბაზში არიან აგრეთვე სტუმრები—თბილისის საწარმოთა სტახანოველები, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები.

სესია გახსნა თბილისის საქალაქო საბჭოს უხუცესმა დეპუტატმა, მედიცინის დოქტორმა ამხ. **ნ. ზ. უმიკოვმა**.

დეპუტატ ნ. ზ. უმიკოვის სიტყვა

ამხანაგებო, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებო!

მე წილად მხვდა ბედნიერება ჯერ-ერთი ვიყო არჩეული თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად და მეორეც—გავხსნა თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი სესია (ტაში).

ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს პირველ დეპუტატად ერთსულოვნად არის არჩეული მსოფლიო მუშათა კლასის ბელადი, ჩვენი მშობლიური **იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი** (მქუხარე ოვაცია, ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს დიდ **სტალინს**!").

ჩვენ ბედნიერნი ვართ იმით, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებად ერთსულოვნად არიან არჩეულნი საბჭოთა მთავრობის მეთაური **ვიაჩესლავ მიხეილის-ძე მოლოტოვი** და სახელოვანი საბჭოთა დაზვერვის მებრძოლი ხელმძღვანელი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია** (ხანგრძლივი, მქუხარე ტაში. შეძახილები: „გაუმარჯოს სოციალიზმის ქვეყნის მთავრობის მეთაურს ამხანაგ **მოლოტოვს**!", „გაუმარჯოს ქართველი ხალხის ერთგულ შვილს ამხანაგ **ბერიას**!").

ეს დიდი პატივი, რომელიც წილად ხვდა ქართველ ხალხს, გვაკისრებს ჩვენ, დეპუტატებს, ვიმუშაოთ სანიმუშოდ, ვამრავლოთ ჩვენი აყვავებული რესპუბლიკის და მისი დედაქალაქის — თბილისის მიღწევები. თვითეული დეპუტატის მოვალეობაა იმუშაოს ისე, როგორც გვასწავლის დიდი **სტალინი** — გავამართლოთ ამომრჩევლების ნდობა, გვახსოვდეს, რომ დეპუტატი ხალხის მსახურია.

უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით ჩატარდა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. არჩევნების დღე — ეს იყო ნამდვილი საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, დემონსტრაცია მილიონობით მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადებისა ბოლშევიკების პარტიისადმი, სოციალიზმის ისტორიულ გამარჯვებათა სულისჩამდგმელისა და ორგანიზატორის—დიდი **სტალინისადმი** (მხურვალე ოვაცია).

სტალინური კონსტიტუციის მხურვალე მზის ქვეშ, საბჭოთა კავშირის ბედნიერ ხალხთა ერთიან ოჯახში, აყვავდა და გაიფურჩქნა ორდენოსანი საქართველო.

არ არსებობს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ისეთი დარგი, რომელშიც ჩვენ შესანიშნავი მიღწევები არ გვქონდეს.

ამ მიღწევებმა, ამ ისტორიულმა გამარჯვებებმა საქართველო ჩააყენა საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკათა რიგებში და გადააქცია იგი სოციალიზმის ქვეყნის მარგალიტად. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ საქართველოს მიღწევები მოპოვებულია ქართველი ხალხის სამაყო, ერთგული და საყვარელი შვილის ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას** ხელმძღვანელობით (მქუხარე ტაში, ოვაციები).

ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა, შემჭიდროებულმა ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, გაანადგურა საზიზღარი გამცემლები, ხალხის მტრები და დააწინაურა ახალი ადამიანები, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის პარტიისა.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ და გავამრავლოთ მიღწეული წარმატებანი, ჩვენი მუშაობა უნდა მოვაწყოთ ისე, რომ თბილისი, რომელმაც უკვე მოიპოვა საპატიო ადგილი საბჭოთა კავშირის მოწინავე ქალაქთა შორის, კიდევ უფრო აყვავდეს, კიდევ უკეთესი, უფრო კეთილმოწყობილი გახდეს.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს უხუცესი დეპუტატი ნ. უმიკოვი.

△

გაუმარჯოს სტალინურ კონსტიტუციას!

გაუმარჯოს და იცოცხლოს კიდევ მრავალ წელს მშრომელი კაცობრიობის ბელადმა, ჩვენმა მშობლიურმა **სტალინმა**! (მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. მოისმის მისასალმებელი შეძახილები — „გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს**!").

— მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველ სესიას გახსნილად ვაცხადებ (ტაში).

გამოსულმა დეპუტატმა ამხ. **ვ. შაუთიძემ** ლენინის, სტალინის და ბერიას სახელობის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის სახელით შემოიტანა წინადადება, რომ სესიის სხდომათა სახელმძღვანელოდ, სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას დეპუტატი **ე. ი. ჩერქეზია**. დეპუტატმა **კ. ზავრიევმა** მხარი დაუჭირა ამ წინადადებას.

სესიამ ერთხმად აირჩია სესიის თავმჯდომარედ ამხ. **ე. ჩერქეზია**.

სესიის მდივნად დეპუტატ **ვ. გარსევანიშვილის** წინადადებით ერთხმად არჩეულ იქნა დეპუტატი **თ. კ. ქუთათელაძე**.

დეპუტატ **ა. ზაკომოლდინის** წინადადებით სესიამ მიიღო რეგლამენტი.

ორჯონიკიძის, კიროვის და 26 კომისრის სახელობის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის სახელით გამოვიდა დეპუტატი **შ. სვიმონიშვილი**. მისი წინადადებით სესიამ ერთხმად მიიღო შემდეგი დღის წესრიგი:

1. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს სესიის სამანდატო კომისიის არჩევა.
2. თბილისის საქალაქო საბჭოს მუდმივად მომქმედი კომისიების არჩევა.
3. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა და არჩევა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა, თავმჯდომარის მოადგილეებისა და აღმასკომის მდივნისა.
4. აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების შედგენა და განყოფილებათა გამგეების დამტკიცება.

დეპუტატ **ნ. ა. ჩარკვიანს** შემოაქვს წინადადება გაეგზავნოს მისალმება დიდ **სტალინს**. დეპუტატები და სესიის სხდომაზე ყველა დამსწრენი მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციებით ხვდებიან ამ წინადადებას. მთელი დარბაზი ფეხზე დგება. დარბაზის ყველა კუთხიდან გაისმის მისასალმებელი შეძახილები დიდი **სტალინის** პატივსაცემად. მისალმების ტექსტის წაკითხვისას ხშირად გაისმის ტაშის გრიალი და დიდი **სტალინისადმი** მიმართული მისასალმებელი შეძახილები.

შემდეგ სესია გადადის სამანდატო კომისიის არჩევაზე.

სტალინის, ორჯონიკიძის და 26 კომისრის სახელობის რაიონების დეპუტატთა ჯგუფის სახელით გამოდის დეპუტატი **გ. გოჩაშვილი**, რომლის წინადადებით სესიამ ერთხმად აირჩია სამანდატო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

სამანდატო კომისიის თავმჯდომარე—დეპუტატი **ა. თ. კვაჭაძე**, სამანდატო კომისიის წევრები: **გ. ს. ყაზახიშვილი, თ. რ. გაგნიძე, ა. ი. ლობანოვი, ი. ს. ალიხანიანი, ა. ს. ჩხენკელი, ი. თ. აბაულინი**.

შემდეგ სესია გადადის თბილისის საბჭოს მუდმივად მომქმედი კომისიების შედგენაზე. ამ საკითხზე წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები **გ. ს. კიკნაძე, ვ. ვ. სიხარულიძე, გ. დ. კუპრაძე, თ. გ. როსტომაშვილი, დ. ს. ყიფშიძე, მ. ი. კუჭავა** და **ნ. გ. გალუსტოვი**.

დეპუტატ გ. ს. კიკნაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში ბიუჯეტი განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სოციალისტურ მეურნეობას, რომელიც ვითარდება ზუსტად დამუშავებული გეგმის მიხედვით, უნდა ზუსტად გაანგარიშებული და კარგად შედგენილი ბიუჯეტი.

ბიუჯეტში, როგორც სარკეში, უნდა ჩანდეს ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრება. იგი უნდა საზღვრავდეს სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის მთელ გეგმას და უნდა გვაძლევდეს შესაძლებლობას —სწორად გავანაწილოთ სახალხო სახსრები და უზრუნველვყოთ სამეურნეო გეგმების შესრულება.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ბიუჯეტს სულ სხვა მიზანი აქვს. იქ ბიუჯეტის მიზანია მშრომელთა ფართო მასების ექსპლოატაცია და მეტი მოგების ამოქაჩვა.

ჩვენს ქვეყანაში ბიუჯეტი მიმართულია სახალხო მეურნეობის შემდგომი აღორძინებისაკენ, სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობისაკენ და ჩვენი დიადი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისაკენ. ჩვენი ბიუჯეტი ითვალისწინებს თანხებს ბინების, სკოლების, საავადმყოფოების და მრავალ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობისათვის.

იგი გვაძლევს საშუალებას—შეუჩერებლივ ავამაღლოთ მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო დონე.

ჩვენი საქალაქო მეურნეობის ბიუჯეტმა უნდა უზრუნველჰყოს ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის მშენებლობის შემდგომი გაშლა, იგი უნდა დაგვეხმაროს ამხანაგ ლ. ბერიას მიერ ჩვენს წინაშე დაყენებული ამოცანის წარმატებით გადაჭრაში — გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო სოციალისტურ ქალაქად.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-89 მუხლი ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცებას აკისრებს საქალაქო საბჭოებს. მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებმა მთელის გულისყურით უნდა განიხილონ საქალაქო ბიუჯეტის საკითხები. იმისათვის, რომ ბიუჯეტი განხილულ იქნეს ყურადღებით როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში, საჭიროა ბიუჯეტის შესრულების სისტემატური შემოწმება და მისი წინასწარ შესწავლა. წინადადება შემომაქვს შევქმნათ მუდმივად მომქმედი საბიუჯეტო კომისია 13 კაცის შემადგენლობით.

წინადადება შემომაქვს კომისიის თავმჯდომარედ ავირჩიოთ დეპუტატი **ა. გოლეთიანი**; კომისიის წევრებად—დეპუტატები **ი. დ. ლუარსაბოვი, ვ. ი. კენიგი, ზ. ს. ნადირაძე, გ. ს. ჩხობაძე, ე. მ. დიდია, მ. ს. ფარცვანია, ე. მ. ალანაკიანი, ლ. მ. ღლონტი, ე. ლ. გვარამაძე, კ. ს. ბაქრაძე, შ. მ. სვიმონიშვილი** და **მ. ა. კუჭუხიძე**.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესია.

ფოტო რ. აკოფოვისა

დეპუტატ ვ. ვ. სიხარულიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! პარტია და ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საქონელბრუნვის ფართოდ გაშლის საკითხებს.

საქონელბრუნვის ზრდის ციფრები სტალინური ხუთწლედების მანძილზე მოწმობს ჩვენს დიდ წარმატებებს სახალხო მეურნეობის ამ საყურადღებო უბანზე. ფართო მოხმარების საქონლის წარმოება ჩვენში ყოველწლიურად იზრდება. გაიზარდა რიცხობრივად და ხარისხობრივად კვების მრეწველობის პროდუქცია.

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი მოწვევის 1-ლი სესიის თავმჯდომარე, დეპუტატი ე. ი. ჩერქეზია

△

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ დაამტკიცა რა მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმა, ამავე დროს გაითვალისწინა სახელმწიფო-კოოპერატიული საქონელბრუნვის საგრძნობი ზრდა საცალო-კოოპერატიულ სავაჭრო ქსელში 38 პროცენტით. ყრილობის ისტორიულ დადგენილებებში გათვალისწინებულია აგრეთვე მთელი სავაჭრო საქმის გაუმჯობესება (სავაჭრო ბაზების მშენებლობა, საქონლის შემოზიდვა და მოწოდება, სამაცივრო მეურნეობა და სხვ.).

ამხანაგო დეპუტატებო! უკანასკნელ წლებში თბილისის სავაჭრო ქსელის მუშაობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ასე, მაგალითად, 1933 წელს ფაქტიურმა საცალო საქონელბრუნვამ თბილისში მიაღწია 401 მილიონ მანეთს, 1937 წელს—882 მილიონ მანეთს, 1938 წელს კი—947 მილიონ მანეთს.

1939 წელს ქალაქ თბილისის საქონელბრუნვის გეგმა ითვალისწინებს 1.025 მილიონ მანეთს. საზოგადოებრივი კვების ქსელში ბრუნვამ 1939 წელს უნდა მიაღწიოს 80 მილიონ მანეთს.

თბილისში გახსნილია მთელი წყება ახალი სავაჭროებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა. ყოველწლობით იზრდება სავაჭროების ქსელი. 1935 წელს თბილისში 657 სავაჭრო იყო, 1938 წელს კი 1.480.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, საქონელბრუნვის გაშლაში ჩვენ კვლავ მრავალი დეფექტი გვაქვს.

ჩვენ გვაქვს ყველა პირობა, რომ სავსებით დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მზარდი მატერიალურ-კულტურული მოთხოვნილებანი, მაგრამ სავაჭრო ორგანიზაციებში ხშირად არღვევენ საბჭოთა კულტურული ვაჭრობის წესებს, არ იცავენ მოცემულ სასორტიმენტო მინიმუმს.

თბილისში საქონელბრუნვის დარგში მუშაობის გაუმჯობესების მიზნით წინადადება შემომაქვს თბილისის საქალაქო საბჭოსთან შევქმნათ მუდმივად მომქმედი კომისია ვაჭრობის დარგში 15 კაცის შემადგენლობით.

წინადადება შემომაქვს კომისიის თავმჯდომარედ ავირჩიოთ დეპუტატი **ნ. ი. კულიჯანოვი**; კომისიის წევრებად — **პ. ს. კილასონია, ა. ი. რინენბერგი, ნ. გ. სამარჩიანი, ა. პ. გავრილენკო, ს. მ. ჯავახოვა, თ. ი. ქემაშვილი, ნ. მ. არეშიძე, ზ. ლ. სინიუტინი, ს. ი. სერაფენიუკი, ე. ი. კოპლავაშვილი, კ. მ. გოცაძე, ვ. კ. ესებუა, მ. გ. სარქისოვი** და **ს. პ. ჯანჯღავა**.

დეპუტატ გ. დ. კუპრაძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარებაში ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. თბილისი ამ წარმატებების შედეგად უკვე გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად.

თბილისის საქალაქო მეურნეობის სწრაფი ზრდა, საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღების, საავადმყოფოების, ახალი ფაბრიკა-ქარხნების და სხვ. მშენებლობის ფართოდ გაშლის საქმე უდიდეს ამოცანებს აყენებს ჩვენი ადგილობრივი მრეწველობის წინაშე. ჩვენი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა უნდა უზრუნველჰყონ ახალი მშენებლობანი აგურით, კრამიტით, გაჯით, კირით და სხვა სამშენებლო მასალებით.

თბილისის საბჭოს ადგილობრივმა მრეწველობამ 1940 წელს უნდა მოგვცეს 25 მილიონი ცალი აგური, 2 მილიონი ცალი კრამიტი, 13.000 ტონა გაჯი, 400.000 საკაფელო ფიქალი, 25.000 კუბური მეტრი დატეხილი ქვა, 30.000 კვადრატულ მეტრზე მეტი სამშენებლო დეტალები, 40.000 კვ. მეტრზე მეტი პარკეტი და ა. შ.

ამხანაგო დეპუტატებო! მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია იზრდება, საქალაქო მშენებლობის მოთხოვნილება სამშენებლო მასალებზე მთლიანად მაინც არ კმაყოფილდება. ახლა ჩვენს წინაშე დგას ამოცანა ადგილობრივი მრეწველობის შემდგომი ამაღლებისა და რეკონსტრუქციისა. ამასთან დაკავშირებით, ამხანაგო დეპუტატებო, შემომაქვს წინადადება ავირჩიოთ თბილისის საბჭოს ადგილობრივი მრეწველობის საკითხების შემსწავლელი მუდმივად მომქმედი კომისია 13 კაცის შემადგენლობით.

წინადადება შემომაქვს კომისიის თავმჯდომარედ ავირჩიოთ დეპუტატი **პ. ბ. ქართველიშვილი**; კომისიის წევრებად, დეპუტატები—**მ. თ. გეწაძე, ვ. ვ. შაუთიძე, ი. ნ. უსოვი, ნ. გ. მიქაუტაძე, ვ. გ. კაზაროვი, ს. ი. ვაშაძე, ნ. ნ. ჩხუბიანი, ი. ს. ცატუროვი, გ. ს. გალუმოვი, თ. ნ. საყვინა, ა. ნ. სარუხანოვი** და **გ. ე. გოგავა**.

დეპუტატ თ. გ. როსტომაშვილის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის — თბილისის მშრომელები ამაყობენ უკანასკნელი წლების მანძილზე მოპოვებული წარმატებებით, რომელთა შედეგადაც თბილისი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად გადაიქცა.

განსაკუთრებით დიდია მიღწევები კულტურული მშენებლობის დარგში.

პირველი ხუთწლედის დასაწყისში თბილისში იყო ხუთი უმაღლესი სასწავლებელი, 104 საშუალო და არასრული საშუალო სკოლა, 21 ტექნიკუმი და მუშფაკი, 32 საბავშვო ბაღი. სულ მაშინ თბილისში 162 სასწავლებელი იყო 62.880 მოსწავლით.

1938-39 სასწავლო წელს თბილისში გვაქვს 13 უმაღლესი სასწავლებელი. გაცილებით მეტია საშუალო და არასრული საშუალო სკოლების რიცხვი, 58 ტექნიკუმი და მუშფაკი, 134 საბავშვო ბაღი. სულ სასწავლებელთა რიცხვი თბილისში ახლა 310-ს უდრის, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი 125.205-ს.

განვლილი რამდენიმე წლის მანძილზე თბილისში აშენებულია 24 ახალი სასკოლო შენობა. 15 შენობა აგებულია საბავშვო ბაღებისათვის, აგებულია აგრეთვე შესანიშნავი მრავალსართულიანი შენობა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტისათვის, რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტისათვის, სამი ტექნიკუმისათვის, სამი საშუალო სკოლისა და სამი საბავშვო ბაღისათვის.

1928 წელს თბილისის საბჭომ (უწყებების ჩაუთვლელად) სახალხო განათლების ღონისძიებათა განსახორციელებლად დახარჯა 13.231.000 მანეთი, ანუ მთელი საქალაქო ბიუჯეტის 13 პროცენტი. 1938 წელს სახალხო განათლების ღონისძიებათა განსახორციელებლად (აგრეთვე უწყებების ჩაუთვლელად) დახარჯულ იქნა 47.191.000 მანეთი, ანუ მთელი ბიუჯეტის 28 პროცენტი.

წინადადება შემომაქვს ავირჩიოთ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მუდმივად მომქმედი კომისია სასკოლო საკითხებზე შემდეგი შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარედ წინადადება შემომაქვს ავირჩიოთ დეპუტატი **დ. ს. ყიფშიძე**; კომისიის წევრებად დეპუტატები—**ნ. დ. კიკნაძე, ფ. ლ. როგაჩენკო, ე. მ. გრიგორიანი, გ. მ. ჩარექიშვილი, გ. მ. მუხაძე, გ. პ. კიკაჩეიშვილი, რ. ი. ღლონტი, ე. დ. ჩოფიკაშვილი, ს. მ. მშვენიერიძე, ე. ი. კეკელია, პ. მ. ბიბილური, მ. ე. თიკანაძე, მ. ნ. უთმელიძე** და **მ. ს. ტერ-ოვანესიანი**.

დეპუტატ დ. ს. ყიფშიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენ ყველანი მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ შეიცვალა სახე ჩვენმა დედაქალაქმა—თბილისმა. საქალაქო მეურნეობის ყველა დარგში ჩვენ უდიდესი აღმავლობა და შესანიშნავი მიღწევები გვაქვს. მე მინდა აქ განსაკუთრებით შევჩერდე ერთ-ერთ იმ დარგზე, სადაც მკვეთრად იგრძნობა სტალინური ზრუნვა ადამიანზე.

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს პირველი მოწვევის 1-ლი სესია

(დასასრული)

მე ვგულისხმობ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგს.

ყველამ ვიცით, თუ რა მდგომარეობაში იყო სახალხო ჯანმრთელობის დაცვა რევოლუციამდელ პერიოდში, რა მდგომარეობაში იყო ეს საქმე ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — მენშევიკების დროს. მაშინ მშრომელები სავსებით მოკლებული იყვნენ სამედიცინო დახმარებას. ათასობით ადამიანები, რომელთაც ქონება არ გააჩნდათ, იღუპებოდნენ სხვადასხვა ეპიდემიებით.

სულ სხვა მდგომარეობაა ახლა. თბილისში ახლა ფართოდ გაშლილია სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი—საავადმყოფოები, ამბულატორიები, პოლიკლინიკები, დისპანსერები, სამშობიარო სახლები და სხვ.

მოგვეპოვება მთელი წყება სპეციალური სამკურნალო დაწესებულებებისა, რომლებიც მშრომელებს მაღალკვალიფიციურ სამკურნალო დახმარებას უწევენ. ესენია: რენტგენის კაბინეტები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სხვ.

უკანასკნელ წლებში შექმნილი უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლები სამედიცინო დარგის ათასობით კვალიფიციურ მუშაკებს აძლევენ ქვეყანას. სამკურნალო დაწესებულებებში ფართოდ იყენებენ სამედიცინო მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს. მკურნალობის დარგში მეცნიერების ყველა მიღწევა მშრომელთა განკარგულებაშია.

იმ მიზნით, რომ მოსახლეობის სამკურნალო მომსახურების საქმე კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ, წინადადება შემომაქვს თბილისის საქალაქო საბჭოსთან შევქმნათ სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საკითხების განმხილველი მუდმივად მომქმედი კომისია.

წინადადება შემომაქვს კომისიის თავმჯდომარედ ავირჩიოთ დეპუტატი პ. გ. შუშანია, კომისიის წევრებად კი დეპუტატები—პ. პ. კავილაძე, **მ. ი. მურადაშვილი, ტ. ი. ორიმბოვსკი, გ. მ. მუხაძე, ნ. ი. მაჭარაშვილი, მ. გ. გიგოლოვი, ც. გ. მალანია, ზ. გ. სამადაშვილი, ე. ი. ძრელაძე, ნ. ა. გოგოლაშვილი, ა. ა. შაპოვალოვი, ა. დ. ჩუბინიძე, მ. ი. საზკაშვილი და ნ. ზ. უმიკოვი.**

დეპუტატ მ. ი. კუჭავას სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! არასასიამოვნო სურათს წარმოადგენდა წინათ თბილისი. განსაკუთრებით საშინელი იყო მდგომარეობა იმ უბნებში, სადაც მუშები, ხელოსნები და მოსახლეობის ღარიბი ფენა ცხოვრობდა. ასეთი უბნები იყო—ნაძალადევი, დიდუბე და ნავთლუღი.

ახლა ჩვენი ქალაქი სულ სხვანაირად გამოიყურება.

იქ, სადაც ცარიზმის წყეულ დროს ტალახი, უსწორმასწორო ქუჩაბანდები და ღარიბთა ქოხები იყო, ახლა შესანიშნავი საცხოვრებელი სახლები, ასფალტიანი ქუჩები და სოციალისტურ საწარმოთა ახალი კორპუსებია წამოჭიმული.

თბილისის სოციალისტური რეკონსტრუქციის მასშტაბებზე მკაფიო წარმოდგენას იძლევა ქალაქის ბიუჯეტის ზრდა.

1940 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია დიდძალი თანხების დაბანდება ქალაქის კომუნალურ და საბინაო მშენებლობაში.

ეს გვავალებს ჩვენ, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატებს, მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ კომუნალური მშენებლობა ვაწარმოოთ სანიმუშოდ, რომ დიდი პროგრამა კომუნალური მეურნეობის დარგში გათვალისწინებული მშენებლობის ვადების მიხედვით შევასრულოთ.

ამასთან დაკავშირებით წინადადება შემომაქვს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოსთან შევქმნათ მუდმივად მომქმედი კომისია კომუნალური მეურნეობის საკითხებზე 15 კაცის შემადგენლობით.

წინადადება შემომაქვს კომუნალური მეურნეობის კომისიის თავმჯდომარედ ავირჩიოთ დეპუტატი გ. ი. აბესაძე; კომისიის წევრებად— ვ. ა. გონგაძე, შ. ა. ხიზანაშვილი, კ. ვ. მორეტი, ა. მ. ბენაშვილი, მ. ი. კუზნეცოვი, გ. დ. ბეჟანიშვილი, შ. ა. გვიჩია, ვ. გ. ჩანტლაძე, ნ. ლ. ბალავაძე, ნ. ე. ტიგიშვილი, გ. ა. რობაქიძე, გ. ი. ფირუმოვი, ბ. ს. ბუკია, თ. კ. ქუთათელაძე.

დეპუტატ ნ. გ. გალუსტოვის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! სტალინური ხუთწლედების მანძილზე სახალხო მეურნეობის საერთო განვითარებასთან ერთად გაიზარდა და გოლიათურად განმტკიცდა ჩვენი მშობლიური მუშურ-გლეხური წითელი არმია და სამხედრო - საზღვაო ფლოტი. საბჭოთა კავშირის მტრებმა არაერთხელ იწვნიეს თავიანთ ზურგზე ჩვენი გმირული წითელი არმიის და სახელოვანი სამხედრო-საზღვაო ფლოტის იარაღის ძლიერება. ჩვენმა სახელოვანმა წითელმა არმიამ წარმატებით შეასრულა დიადი ამოცანა — დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის 13-მილიონიანი მოძმე ხალხების განთავისუფლებისა პოლონელი პანების უღლისაგან. ჩვენი წითელი არმია ახლა დახმარებას უწევს ფინეთის მშრომელ ხალხს მის ბრძოლაში ავანტიურისტთა და ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ (ტაში).

პარტია და ხელისუფლება, ჩვენი ბელადი დიდი **სტალინი** ყოველთვის გვიჩვენებენ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე ბოლშევიკური ზრუნვის ნიმუშებს, საბჭოთა ხალხის ბედნიერი და სამშვიდო ცხოვრების დაცვისათვის ზრუნვის მაგალითებს.

ეს გვავალებს ჩვენ, ამხანაგო დეპუტატებო, — განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ თავდაცვითს მუშაობას.

ვინაიდან თავდაცვითს საკითხებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ხალხისათვის, შემომაქვს წინადადება ავირჩიოთ თბილისის საქალაქო საბჭოს მუდმივად მომქმედი კომისია თავდაცვითს საკითხებზე (მქუხარე ტაში).

წინადადება შემომაქვს თავდაცვითი კომისიის თავმჯდომარედ ავირჩიოთ დეპუტატი ი. პ. მარკოვი; კომისიის წევრებად—**გ. გ. ანთელიძე, ა. ს. ბითაძე, ა. ფ. ოდიშარია, პ. გ. ცერცვაძე, კ. ნ. მორდოვსკი, შ. გ. ბერეკაშვილი, ი. ნ. ნესკუბო, მ. ი. კუჭავა, ს. მ. პრილუცკაია და ს. მ. ამირჯანოვი.**

O

სესიამ დაამტკიცა დეპუტატების მიერ დასახელებულ კომისიათა შემადგენლობა და ამ კომისიებში აირჩია ის დეპუტატები, რომლებიც წინადადებათა შემომტანებმა დაასახელეს.

დეპუტატ **დ. არაყიშვილის** წინადადებით სესიამ სასკოლო საკითხებზე გამოყოფილ მუდმივად მომქმედ კომისიაში დამატებით აირჩია მეთექვსმეტე წევრი დეპუტატი **ეკ. სოხაძე.**

დეპუტატ **გ. პ. თევზაძის** წინადადებით სესიის პირველი სხდომა ამით დამთავრდა.

სესიის მეორე სხდომა შესდგება დღეს გრიბოედოვის სახელობის თეატრში, საღამოს 7 საათზე.

წარმატებით ჩავატაროთ პირუტყვის სრულიად-საკავშირო აღწერა

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით 1940 წლის 1-ლი იანვრიდან ტარდება პირუტყვის სრულიად-საკავშირო აღწერა. აღწერის მიზანია ზუსტად გამოარკვიოს პირუტყვის სულადობა, შეამოწმოს მეცხოველეობის განვითარება, 1939 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულება და მიიღოს საჭირო მასალები მეცხოველეობის განვითარების 1940 წლის გეგმის შესადგენად.

პირუტყვის აღწერა ტარდება ყველა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ მეურნეობაში, ყველა კოლმეურნეობაში, ერთპიროვნულ მეურნეობებში, მუშების და მოსამსახურეების და მოსახლეობის სხვა მეურნეობებში. პირუტყვის სულადობის ზუსტად აღრიცხვასთან ერთად აღწერამ უნდა გამოარკვიოს მეცხოველეობის მდგომარეობა საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეთა მეურნეობებში, გამოავლინოს მოწინავენი, მეცხოველეობის სტახანოველები, შეისწავლოს, თუ კი სადმე ამას ადგილი აქვს მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის შეუსრულებლობისა და პირუტყვის სულადობის შემცირების მიზეზები, რის საფუძველზეც შემუშავებული იქნება სოციალისტური მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის სათანადო ღონისძიებანი.

პირუტყვის აღწერა დაიწყება 1940 წლის პირველ იანვარს, დილის 8 საათზე და გასტანს 8 დღეს.

აღწერის დამთავრების შემდეგ, როგორც ქალაქად, ისე სოფლად ჩატარდება საკონტროლო შემოვლა, რომელიც მოიცავს კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა, ერთპიროვნულ მეურნეთა და სხვა მეურნეობათა საერთო რიცხვის არანაკლებ 10 პროცენტისა. საკონტროლო შემოვლამ უნდა შეამოწმოს, რამდენად სრულად და უნაკლოდ ჩატარდა პირუტყვის აღწერა, ხომ არ ჰქონდა ადგილი მეურნეთა გამორჩენას, ან პირუტყვის გადამალვას.

აღწერის წარმატებას სწყვეტს მოსამზადებელი მუშაობის ორგანიზებულად მოწყობა. პირველ რიგში საჭიროა აღრიცხვის კადრების სწორად შერჩევა და განაწილება. აღმწერებად და აღმწერთა ბრიგადების ხელმძღვანელებად გამოყოფილ და სარაიონო და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმების მიერ პერსონალურად დამტკიცებულ უნდა იქნან საკმაოდ გამოცდილი, ავტორიტეტიანი და ნდობით აღჭურვილი პირები. აღმწერებად პირველ რიგში უნდა გამოიყონ მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერის აქტივისტები და ისინი, რომლებიც მონაწილეობდნენ პირუტყვის წინა აღწერებში და რომლებსაც სათანადო გამოცდილება აქვთ.

პირუტყვის აღწერა დაკისრებული აქვს სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ორგანოებს. უკვე დამთავრდა აღრიცხვის რაიონული ინსპექტორების სამდღიანი ინსტრუქტაჟი. რაიონები მომარაგებული არიან საჭირო ინსტრუქციებით და საალწერო ფურცლებით. ახლა მთავარი ის არის, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

საქართველოს რესპუბლიკა პირუტყვის აღწერის საუკეთესოდ ჩატარების მიზნით სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია აზერბაიჯანთან. აღრიცხვის თვითეული ინსტრუქტორი, თვითეული აღმწერი უნდა იბრძოდეს იმისათვის, რომ ამ შეჯიბრებაში ჩვენ გამარჯვებული გამოვიდეთ.

ი. რამიშვილი

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს პირუტყვის აღწერის ბიუროს უფროსი.

საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობა

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს არჩევნების შედეგთა შესახებ

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად შექმნილი იყო 150 საარჩევნო ოლქი.

არჩევნები მიმდინარეობდა 1939 წლის 24 დეკემბრის დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე.

25 დეკემბერს საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს ყველა 150 დეპუტატის არჩევა.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატია.

5.762.497 ამომრჩეველთაგან მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს არჩევნების კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 5.758.548 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,93 პროცენტს შეადგენს.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 5.703.801 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა მთელი რიცხვის 99,17 პროცენტს შეადგენს.

ბიულეტენები, რომლებიც გაუქმებულ იქნა „მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" 110 მუხლის თანახმად, აღმოჩნდა 7.043.

ბიულეტენები, რომლებშიც ამოშლილია კანდიდატის გვარი, აღმოჩნდა 47.704.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს არჩეულ დეპუტატთა შემადგენლობაში არის 107 კომუნისტი და 43 უპარტიო. დეპუტატთა შორის 105 მამაკაცია და 45 ქალი.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისია

მოსკოვის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სარაიონო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების შედეგები

მოსკოვის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საარჩევნო კომისიებისაგან მიღებულია შემდეგი ცნობები მოსკოვის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სარაიონო, სასოფლო და სადაბო საბჭოების ასარჩევად ჩატარებული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

46 საქალაქო საბჭოში 985.679 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 984.007 კაცმა რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,83 პროცენტს შეადგენს.

სულ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 964.413 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილეთა 98,1 პროცენტს შეადგენს.

ბიულეტენები, რომლებიც გაუქმებულად ჩაითვალა, „რუსეთის სფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების საარჩევნო დებულების" მე-110 მუხლის თანახმად, აღმოჩნდა — 1.129.

ბიულეტენები, რომლებშიც კანდიდატის გვარი ამოშლილია, აღმოჩნდა — 18.465.

ყველა საარჩევნო ოლქში საქალაქო საბჭოებში არჩეულია — 4.408 დეპუტატი, მათ შორის მამაკაცი — 2.633, ქალი — 1.775, კომუნისტი — 2.195, და უპარტიო — 2.213 კაცი.

56 სარაიონო საბჭოში 2.435.936 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.428.058 კაცმა რაც ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,67 პროცენტს შეადგენს.

სულ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 2.380.329 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილეთა 98,13 პროცენტს შეადგენს.

ბიულეტენები, რომლებიც გაუქმებულად ჩაითვალა „რუსეთის სფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების საარჩევნო დებულების" მე-110 მუხლის თანახმად, აღმოჩნდა — 7.423.

ბიულეტენები, რომლებშიც კანდიდატის გვარი ამოშლილია, აღმოჩნდა — 40.306.

ყველა საარჩევნო ოლქში სარაიონო საბჭოებში არჩეულია 2.538 დეპუტატი, მათ შორის მამაკაცი — 1.688, ქალი — 950, კომუნისტი — 1.603, უპარტიო — 1.035 კაცი.

1.638 სასოფლო და სადაბო საბჭოში 1.884.776 ამომრჩევლიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1.877.098 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,59 პროცენტს შეადგენს.

სულ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 1.823.749 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილეთა 97,27 პროცენტს შეადგენს.

ბიულეტენები, რომლებიც გაუქმებულია „რსფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" 110 მუხლის თანახმად, აღმოჩნდა 5.099.

ბიულეტენები, რომლებშიც ამოშლილია კანდიდატის გვარი აღმოჩნდა 48.250.

სასოფლო და სადაბო საბჭოების ყველა საარჩევნო ოლქში არჩეულია 23.724 დეპუტატი, ამათგან 14.825 მამაკაცი და 8.899 ქალი, 4.904 კომუნისტი, 18.820 უპარტიო.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სარაიონო, სასოფლო და სადაბო საბჭოების ყველა ოლქში არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები. სასოფლო საბჭოების არჩევნების ორ საარჩევნო ოლქში იმ კანდიდატებმა, რომელთაც აქ კენჭი უყარეს, ოლქში მიცემულ მთელ ხმათა ნახევარზე ნაკლები მიიღეს და ამიტომ, „რსფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დებულების" 127 მუხლის თანახმად, ისინი არ აღმოჩნდნენ არჩეულნი. „არჩევნების დებულების" 127 მუხლის შესაბამისად, ამ ორ საარჩევნო ოლქში დანიშნულია ახალი არჩევნები.

საქალაქო საარჩევნო კომისიის ცნობა

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნების შედეგთა შესახებ

მოსკოვში შექმნილი იყო მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნების 1402 საარჩევნო ოლქი, რომელთა საზღვრებიც ემთხვეოდა საარჩევნო უბნების საზღვრებს.

არჩევნები მიმდინარეობდა 1939 წლის 24 დეკემბრის დილის 6 საათიდან ღამის 12 საათამდე.

25 დეკემბერს დღის 12 საათისათვის საოლქო საარჩევნო კომისიებმა რეგისტრაციაში გაატარეს მოსკოვის საქალაქო საბჭოს ყველა 1402 დეპუტატის არჩევა.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატია.

ხმის მიცემის უფლება ჰქონდა 2.904.204 კაცს. მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნებში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.900.098 კაცმა, რაც ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო რაოდენობის 99,86 პროცენტს შეადგენს.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 2.870.667 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა მთელი რიცხვის 98,99 პროცენტს შეადგენს.

ბიულეტენები, რომლებიც გაუქმებულ იქნა „მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, სარაიონო, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოს არჩევნების დებულების" 110 მუხლის თანახმად, აღმოჩნდა 668.

ბიულეტენები, რომლებშიც ამოშლილია კანდიდატის გვარი, აღმოჩნდა 28.763.

არჩეულ დეპუტატთა შემადგენლობაში არიან: 676 კომუნისტი, 726 უპარტიო. დეპუტატთა შორის 926 მამაკაცია და 476 ქალი.

მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს არჩევნების საქალაქო საარჩევნო კომისია

ქალ. მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების არჩევნების შედეგები

ქალ. მოსკოვის რაიონული საბჭოების არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან — 2.904.204 კაციდან — კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 2.899.329 კაცმა, რაც ქალ. მოსკოვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,83 პროცენტს შეადგენს.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 2.867.191 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილე ყველა ამომრჩეველთა რაოდენობის 98,89 პროცენტს შეადგენს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების წინასწარი შედეგები

ლენინგრადის ოლქი

ლენინგრადი, 26 დეკემბერი (საკდესი). მშრომელთა დეპუტატების ლენინგრადის საოლქო საბჭოს არჩევნების ყველა 146 საარჩევნო ოლქში არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

3.974.091 ამომრჩეველთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 3.966.326 კაცმა, ე. ი. ოლქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,8 პროცენტმა.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 3.917.360 კაცმა. ეს შეადგენს კენჭისყრის მონაწილეთა 98,77 პროცენტს. ლენინგრადის საოლქო საბჭოს არჩეულ დეპუტატებს შორის არის 37 ქალი, რაც 25 პროცენტს შეადგენს.

ლენინგრადის ოლქის 1389 სასოფლო და სადაბო საბჭოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს 1.401.150 კაცს. მათგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1.393.989 კაცმა, რაც სასოფლო და სადაბო საბჭოების ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,49 პროცენტს შეადგენს. სასოფლო და სადაბო საბჭოებში სულ არჩეულია 20.950 კაცი, ამასთან ყველა ოლქში არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები. სულ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ლენინგრადის ოლქის სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში ხმა მისცა 1.354.239 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილეთა 97,15 პროცენტმა. სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩეულ დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან 7.624 დეპუტატი ქალია, რაც 36 პროცენტს შეადგენს.

კიევი

კიევი, 26 დეკემბერი (საკდესი). მშრომელთა დეპუტატების კიევის საქალაქო საბჭოს არჩევნების ყველა 843 საარჩევნო ოლქში არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

ქ. კიევის 627.915 ამომრჩეველთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 625.734 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,65 პროცენტს შეადგენს.

კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 517.687 კაცმა, ანუ ხმის მიმცემთა 98,71 პროცენტმა. დეპუტატთა შემადგენლობაში 348 ქალია, რაც 41 პროცენტს შეადგენს.

სომხეთის სსრ

ერევანი, 26 დეკემბერი (საკდესი). მშრომელთა დეპუტატების ყველა ადგილობრივი საბჭოს ამომრჩეველთა რაოდენობა სომხეთის სს რესპუბლიკაში შეადგენს 621.095 კაცს. აქედან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 615.258 კაცმა, რაც რესპუბლიკის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,06 პროცენტს შეადგენს.

მშრომელთა დეპუტატების ერევნის საქალაქო საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენს 108.194 კაცს. მათგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 107.166 კაცმა, რაც ქალაქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99.05 პროცენტს შეადგენს. მშრომელთა დეპუტატების ერევნის საქალაქო საბჭოს არჩევნების ყველა 290 საარჩევნო ოლქში არჩეული არიან კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

ყირგიზეთის სსრ

ფრუნზე, 26 დეკემბერი (საკდესი). ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში მშრომელთა დეპუტატების ყველა ადგილობრივი საბჭოს არჩევნებში 787.868 ამომრჩეველთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 775.514 კაცმა, ანუ რესპუბლიკის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 98,43 პროცენტმა.

მშრომელთა დეპუტატების ფრუნზეს საქალაქო საბჭოს არჩევნებში 60.927 ამომრჩეველთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 60.121 კაცმა, რაც ქალაქის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 98,68 პროცენტს შეადგენს. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები არჩეული არიან ფრუნზეს საქალაქო საბჭოს არჩევნების ყველა 262 საარჩევნო ოლქში, ამასთან მათ ხმა მისცა 58.588 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილეთა 97,45 პროცენტმა. ფრუნზეს საქალაქო საბჭოს არჩეულ დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან 97 დეპუტატი, ანუ 37 პროცენტი, ქალია.

ალმა-ატა

ალმა-ატა, 26 დეკემბერი (საკდესი). მშრომელთა დეპუტატების ალმა-ატის საქალაქო საბჭოს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა შეადგენს 129.193 კაცს. მათგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 128.604 კაცმა, რაც ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,54 პროცენტს შეადგენს. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ქ. ალმა-ატაში ხმა მისცა 126.607 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილეთა 98,45 პროცენტს შეადგენს. კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები არჩეული არიან მშრომელთა დეპუტატების ალმა-ატის საქალაქო საბჭოს არჩევნების ყველა საარჩევნო ოლქში. ალმა-ატის საქალაქო საბჭოს არჩეულ დეპუტატთა საერთო რაოდენობიდან 115 დეპუტატი ქალია, რაც 36 პროცენტს შეადგენს.

აშხაბადი

აშხაბადი, 26 დეკემბერი (საკდესი). მშრომელთა დეპუტატების აშხაბადის საქალაქო საბჭოს არჩევნების მთელს 315 საარჩევნო ოლქში არჩეულია კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები. 84.786 ამომრჩეველთაგან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 84.070 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99.16 პროცენტმა. სულ კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს ქ. აშხაბადში ხმა მისცა 82.365 კაცმა, რაც კენჭისყრის მონაწილეთა 97,97 პროცენტს შეადგენს. აშხაბადის საქალაქო საბჭოს არჩეულ დეპუტატთა შორის 110 ქალია, რაც 35 პროცენტს შეადგენს.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი— ამხანაგ სტალინს

ძვირფასო და დიდად საყვარელო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემია თქვენი დაბადების 60 წლისთავზე თავის მგზნებარე სალამს გიძღვნით თქვენ, ჩვენი დროის უდიდეს მოაზროვნეს და მოწინავე მეცნიერების ბუმბერაზს.

თქვენ მიერ განვლილი გზა გვანცვიფრებს თქვენი მრავალმხრივი მოღვაწეობით და გვაოცებს მიღწეული შედეგების სიდიადით.

22 წლის მანძილზე, რამაც განვლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დროიდან, მძლავრი და გმირი საბჭოთა ხალხის მიერ ლენინ-სტალინის პარტიის დროშით, ლენინისა და თქვენი ხელმძღვანელობით განვლილია გზა, რომელიც თავისი შედეგებით უბადლოა კაცობრიობის ისტორიაში.

სტალინური ხუთწლედები კაცობრიობის ისტორიაში შევიდნენ როგორც ნიშანსვეტები, რომლებიც აღნიშნავენ მრავალმილიონიანი და მრავალერიანი საბჭოთა ხალხის მძლავრ, ძლევამოსილ სვლას კომუნიზმისაკენ.

სოციალისტური მშენებლობის სტალინური ხუთწლედების საშუალებით ჩვენი დიადი სამშობლოს უზარმაზარ სივრცეებზე — მცხუნვარე სუბტროპიკებით დაწყებული სუსხიან არქტიკამდე—ხდება ჩვენი პლანეტის გარდაქმნა ადამიანის შესაფერი ცხოვრებისათვის.

სსრ კავშირში სოციალიზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა. განსაკუთრებით დიდია თქვენი როლი ძლევამოსილ სოციალისტურ მშენებლობაში. ისტორიამ არ იცის არცერთი ისეთი მეცნიერი მოღვაწე, რომელსაც ამდენი რამ გაეკეთებინოს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, რაც თქვენ უკვე გააკეთეთ თქვენს მიერ განვლილი გზის მანძილზე. არ არის სოციალისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის არცერთი დარგი, რომლის განვითარება დაკავშირებული არ იყოს თქვენს მოღვაწეობასთან. ვერა ვპოულობთ ისეთ სიტყვებს, რომლებსაც შეეძლოთ ამომწურავი სისრულითა და სიძლიერით დაეფასონ თქვენი განსაკუთრებული როლი გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობაში.

დიდია მნიშვნელობა თქვენი თეორიული ნაშრომებისა მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი განვითარების დარგში და ფასდაუდებელია თქვენი დამსახურება, რომელიც მიგიძღვით სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაჭრისათვის მარქს-ლენინის მოძღვრების გამოყენების საქმეში.

რთულ სოციალურ და ისტორიულ საერთაშორისო პირობებში თქვენ უბადლო ოსტატობით და ბრწყინვალედ სწყვეტთ პრობლემებს, რომლებსაც უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

თეორიისა და პრაქტიკის ყველაზე რთული საკითხების გადაწყვეტამ, რომელსაც თქვენ მუდამ სწორად ჰპოულობთ, შეაიარაღა მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი სოციალიზმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად, და იგი მუდამ უზრუნველჰყოფდა მის გამარჯვებას.

მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრება ფლობს მილიონობით ადამიანთა გონებას, მილიონობით ადამიანები ჰფლობენ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის თეორიას, და ამაშია მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშემძლე ძალა.

თქვენ მხურვალედ გწამთ ხალხის ძალა, ხალხს უსაზღვრო რწმენა აქვს თქვენი, და ეს არის სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე ჩვენი გამარჯვებისა და ჩვენი დიადი საუცხოო სამშობლოს თავდაცვის ერთ-ერთი პირობა.

თქვენ, ისევე როგორც ლენინი, შუქურა ხართ მთელი პროგრესიული კაცობრიობისათვის. ლენინისა და სტალინის სახელი მომავალ თაობათა გონებას დაეუფლება.

საბჭოთა კავშირის მეცნიერის ძველი გვარდია და ახალგაზრდა თაობის მეცნიერნი თქვენი მაგალითით სწავლობენ მუშაობასა და გამარჯვებას. თქვენ ჩვენთვის შემოქმედებითი აზროვნების დაუშრეტელი წყარო ხართ. თქვენი სახელი მოუწოდებს საბჭოთა მეცნიერებს თეორიისა და პრაქტიკის კიდევ უფრო მეტი მაღლობების დაპყრობისაკენ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივი თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით ამიერიდანაც გასწევს თანმიმდევრულ და გადამწყვეტ ბრძოლას მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისათვის, მისი აყვავებისათვის.

გილოცავთ თქვენი დაბადების 60 წლისთავს, გისურვებთ მრავალი და მრავალი წლის სიცოცხლეს, დარწმუნებულნი, რომ თქვენი გენიალური ხელმძღვანელობით მივაღწევთ კომუნიზმის გამარჯვებას მთელს მსოფლიოში.

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერნი, მთელი სულითა და გულით გისურვებთ მრავალი და მრავალი წლის ჯანმრთელობას ჩვენი დიადი სამშობლოს და მთელი მოწინავე კაცობრიობის საკეთილდღეოდ და სადიდებლად.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

უდმურტეთის ასს რესპუბლიკის 5 წლისთავი

იჟევსკი (საკდესი). 28 დეკემბერს შესრულდა უდმურტეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის 5 წლისთავი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე უდმურტი ხალხი გადაშენების გზაზე იდგა. შიმშილი, სილატაკე, ტრაქომა, ყვავილი და სხვა სნეულებანი ათასობით ადამიანს უსპობდა სიცოცხლეს. უდმურტეთის მშრომელი გლეხობა ორმაგი უღლის ქვეშ გმინავდა. მას სძარცვავდენ და სულს უხუთავდნენ ადგილობრივი მდიდრები — ვაჭრები და ტყავს აძრობდნენ მეფის მოხელეები და ხუცები.

დიდი ოქტომბრის რევოლუციამ სამუდამოდ გაანთავისუფლა უდმურტი ხალხი ნაციონალური ჩაგვრისა და კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან.

ვოტიაკთა ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ სახკომსაბჭოს პირველ დადგენილებას ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა ხელი მოაწერა 1920 წლის 2 ნოემბერს. 1930 წელს ვოტიაკთა ავტონომიურ ოლქს უდმურტეთის ოლქი ეწოდა. 1934 წლის 28 დეკემბერს ოლქი გადაკეთებული იქნა უდმურტეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად.

უდმურტეთი, რომელიც ცარიზმის ჩამორჩენილ აგრარულ კოლონიას წარმოადგენდა, აყვავებულ ინდუსტრიულ - აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა. ახლა უდმურტეთში 240 სამრეწველო საწარმოა. მათ შორის ბევრია დიდი ქარხანა და ფაბრიკა, რომლებიც ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით არის მოწყობილი; მათ ჰყავთ მუშათა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა კვალიფიციური ნაციონალური კადრები.

უდმურტეთის მრეწველობაში წამყვანი როლი ეკუთვნის 1931-1935 წლებში რეკონსტრუირებულ მეტალურგიულ ქარხანას. სტალინური ხუთწლედების მანძილზე დიდად განვითარდნენ ქიმიური, ხისდამმუშავებელი, ტყავეულის და კვების მრეწველობის საწარმოები.

დიდნაყოფიერ ჩარხებს—ავტომატებს, რომლებიც ცნობილია ჩვენი სამშობლოს ფარგლებს იქითაც, შესანიშნავ მოტოციკლებს, უზუსტეს საზომ ხელსაწყოებს, სანადირო თოფებს ყოველივე ამას ამზადებს რესპუბლიკის ახალი სოციალისტური მრეწველობა.

რესპუბლიკაში არის 3.500-მდე კოლმეურნეობა, რომლებიც გლეხურ მეურნეობათა 96,7 პროცენტს აერთიანებენ. უდმურტეთის სოციალისტურ მინდვრებში მუშაობს 3 ათასზე მეტი ტრაქტორი, 689 კომბაინი.

რესპუბლიკას უდიდესი მიღწევები აქვს აგრეთვე კულტურულ მშენებლობაში. დაწყებითს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში მოსწავლეთა რიცხვი 1939 წელს, 1927 წელთან შედარებით, სამნახევარჯერ გაიზარდა, ხოლო სტუდენტთა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში 1938 წელს, 1932 წელთან შედარებით, 10,3-ჯერ გაიზარდა.

წლითი-წლობით იზრდება უდმურტეთის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

უდმურტეთის ასს რესპუბლიკაში 24 დეკემბერს, ადგილობრივი საბჭოების არჩევნებში, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,41 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში. კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი სტალინური ბლოკის კანდიდატებს რესპუბლიკის სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნებში ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილეთა 97,23 პროცენტმა. უდმურტმა ხალხმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო თავისი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება კომუნისტური პარტიისადმი, დიდი სტალინისადმი.

მთავრობის კომისიამ მიიღო დიდი ფერგანის არხი

ტაშკენტი, 26 დეკემბერი (საკდესი). დღეს მთავრობის კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა სტალინის სახელობის დიდი ფერგანის არხის მიღება, უზბეკეთის სახკომსაბჭოს და უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მოახსენა თავისი მუშაობის შედეგების შესახებ. კომისიამ აღნიშნა მშენებლობაზე შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხი, რამაც საშუალება მისცა კომისიას ფრიადზე შეეფასებინა და მიეღო არხი.

კომისიის ოქმში ნათქვამია, რომ არხი, მიუხედავად მისი მშენებლობის მოკლე ვადისა, თანამედროვე საინჟინრო ტიპის კაპიტალური ნაგებობაა. არხის მრავალი ნაგებობა ახალი და ორიგინალური კონსტრუქციით განირჩევა, რის შედეგადაც გამარტივებულია ექსპლოატაცია და ზედამხედველობა.

ყინულმჭრელ „სედოვის" დრეიფი

ყინულმჭრელი „სედოვი", 26 დეკემბერი (საკდესი). სწრაფი მდინარებით გატაცებულმა „სედოვმა" უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში სამხრეთ - დასავლეთ მიმართულებით დრეიფით გაიარა 13 მილი. 26 დეკემბრისათვის მანძილი ყინულმჭრელ „იოსებ სტალინსა" და „სედოვს" შორის საგრძნობლად შემცირდა, ისინი ერთმანეთს დაშორებული არიან მხოლოდ 84 მილით.

გუშინ დილიდანვე დაბალი ტემპერატურა იყო: 36 გრადუსი ყინვა იყო და ჩრდილოეთის 4 ბალიანი ქარი ჰქროდა.

გამორკვეულ იქნა კოორდინატები: ჩრდილოეთის განედის 81 გრადუსი და 56 წუთი და აღმოსავლეთის გრძედის 4 გრადუსი და 29 წუთი. ყინულის მოძრაობა არა ყოფილა.

გემზე ყველაფერი რიგზეა.

ბოლშევიკურად ვიბრძოლოთ შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის

კიდევ უფრო განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა

ერთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა და მოქმედებს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფკავშირის სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება „შრომის დისციპლინის მოწესრიგების, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და ამ საქმეში ბოროტმოქმედებებთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ“.

„სახელმწიფო მოითხოვს და მუშათა კლასი მხარს უჭერს,—ვკითხულობთ 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილებაში, — ამ მოთხოვნას, რომ სამუშაო დღის კანონით დაწესებული ხანგრძლივობა დაცულ იქნას ზუსტად და ყოველგვარი დარღვევის გარეშე, რომ იქ, სადაც დაწესებულია რვა საათის, შვიდი საათის ან ექვსი საათის სამუშაო დღე, მუშაობა ხწარმოებდეს, კანონის თანახმად, სრულ რვა, შვიდ და ექვს საათს“.

ამ დადგენილებამ დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ჩვენი ქვეყნის მუშა - მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შორის. ამის საფუძველზე 1939 წელმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოგვცა შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში: შემცირდა გაცდენები, დაგვიანებები, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა სოციალური დაზღვევის საქმეც.

უპირველეს ყოვლისა ამ გარემოებით აიხსნება, რომ დიდი გადაჭარბებით შესრულდა წლიური გეგმა საქართველოს მრეწველობამ.

დიდად გაიზარდა მშრომელთა პოლიტიკური აქტივობა, უფრო შეგნებული გახდა მათი დამოკიდებულება სოციალისტური შრომისადმი. გამცდენთა, ზარმაცთა და ფრენიების წინააღმდეგ ბრძოლაში დღეს ჩაბმული არიან მუშათა და მოსამსახურეთა ფართო მასები. გამოცოცხლდა ამხანაგური სასამართლოების მუშაობა.

მაგრამ მიუხედავად ამ წარმატებებისა, მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში დღესაც აქვს ადგილი გაცდენებსა და სამუშაოზე დაგვიანებას. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მივაღწიოთ არასაპატიო მიზეზით სამუშაოს გაცდენისა და დაგვიანების სრულ ლიკვიდაციას ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში. 28 დეკემბრის კანონის განუხრელად გატარებასთან ერთად ადგილობრივმა პარტიულმა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ მასობრივ - აღმზრდელობითი მუშაობის სანიმუშოდ დაყენებას, ყოველმხრივ დაეხმარონ წარმოებაში ახლად ჩაბმულ მუშებს და ღრმად დანერგონ სტახანოვური მოძრაობის ახალი ფორმები.

წარმოება - დაწესებულებათა სამეურნეო ხელმძღვანელობამ, პარტიულმა, პროფესიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა ჩაუნერგონ ყველა მუშას, მუშა-ქალს, მოსამსახურესა და ინჟინერ - ტექნიკოსს, რომ „სოციალიზმი მოითხოვს არა ცუღლუტობას, არამედ იმას, რომ ყველა ადამიანი პატიოსნად შრომობდეს“ (სტალინი).

რა მოგვცა შრომის დისციპლინის განმტკიცებამ

მთელი რიგი წლების განმავლობაში თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვერ ასრულებდა წლიურ საწარმოო გეგმებს. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ფაბრიკაში არ იყო შრომის მტკიცე დისციპლინა. კეთილსინდისიერი მუშების გვერდით მუშაობდნენ სამუშაო დღის გამცდენები, ცუღლუტები, ფრენიები. ისინი აბრკოლებდნენ საწარმოო გეგმების შესრულებას.

28 დეკემბრის ისტორიულმა დადგენილებამ ზღვარი დაუდო მათს მოქმედებას. ფაბრიკის ჯანსაღმა კოლექტივმა ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან, 1939 წლის 1 იანვრიდან, სასტიკი ბრძოლა გააჩაღა უქნარების წინააღმდეგ. ზოგი მათგანი მოიხსნა სამუშაოდან, უმრავლესობა კი გამოსწორდა და კეთილსინდისიერი მუშა გახდა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც მიმდინარე წელს მოიპოვა ჩვენი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერტექნიკოს მუშაკთა კოლექტივმა. წლიური საწარმოო გეგმა 14 დეკემბრისათვის შევასრულეთ 100,9 პროცენტით. ქვეყანას მივეცით 26.564 ათასი მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია. წლის ბოლომდე დამატებით ვაძლევთ რამდენიმე ასეული ათასი მანეთის პროდუქციას.

28 დეკემბრის დადგენილება ერთ-ერთ მთავარ საკითხად აყენებს სამუშაო დროის შემჭიდროებას, რაც მიმართულია შრომის ნაყოფიერების ზრდისაკენ. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ გავზარდეთ შრომის ნაყოფიერება, შეგვიძლია მოვიყვანოთ საქსოვი საამქროს პირველი და მეორე კომპლექტის მუშათა კოლექტივის მაგალითი. გასულ წელს ორივე კომპლექტში 8 კაცით მეტი მუშაობდა, ვიდრე წელს, გეგმაც ნაკლები ჰქონდათ. მიუხედავად ამისა, გასული წლის გეგმა ვერ შეასრულეს, მიმდინარე წლისა კი შეასრულეს 22 ნოემბრისათვის. ფაბრიკის სტახანოველები ნ. გელაშვილი, ნ. ვარდიძე, რ. მელაძე და სხვ. წელს 4-6 დაზგაზე მუშაობენ და შრომის მაღალ ნაყოფიერებას აღწევენ. მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი მუშა. რომელიც 28 დეკემბრის დადგენილებამდე ცნობილი იყო, როგორც უდისციპლინო, მიმდინარე წელს სტახანოვურად მუშაობს. მაგალითად, მქსოველი თ. მელქაძე ახლა ყოველთვიურ გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, მისი თვიური საშუალო გამომუშავება 544 მანეთს შეადგენს, გასულ წელს კი 220 მანეთს არ აღემატებოდა. ასევე შეიძლება ითქვას ო. ივანოვაზე, მ. ქიტოვაზე, ე. ნათენოვაზე და სხვ.

შრომის დისციპლინა ჩვენს ფაბრიკაში საკმაოდ განმტკიცდა, მაგრამ მიღწეულით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ. ჯერ კიდევ ადგილი აქვს გაცდენა-დაგვიანებას. ფაბრიკის ადმინისტრაცია იღებს სათანადო ზომებს, მაგრამ ეს სრულიადაც არ არის საკმარისი, საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ადგილი არ ჰქონდეს გაცდენას, არ გვიხდებოდეს ვინმეს მოხსნა სამუშაოდან.

მომავალში კიდევ უფრო მეტი შეუპოვრობით უნდა ვიბრძოლოთ შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ი. ალექსიშვილი
თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის დირექტორის მოადგილე.

შრომის რკინისებურმა დისციპლინამ უზრუნველჰყო ქარხნის გამარჯვება

(ზესტაფონი, „კომუნისტის“ ბრიგადისაგან)

შესანიშნავად იმუშავა მიმდინარე წელს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანამ. პატიოსანმა და კეთილსინდისიერმა შრომამ, მუშაობის სტახანოვური მეთოდების ფართოდ დანერგვამ, შრომისადმი სოციალისტურმა დამოკიდებულებამ უზრუნველჰყო ქარხნის კოლექტივის ბრწყინვალე გამარჯვება.

ქარხანამ თავისი არსებობის ისტორიაში წელს პირველად შეასრულა სახელმწიფო დავალება, და შეასრულა ვადამდე, — გამოუშვა 54 მილიონი მანეთის პროდუქცია, რაც ორჯერ მეტია გასულ წელს გამოშვებულ პროდუქციაზე. 13 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, 11 პროცენტით შემცირდა თვითღირებულება, 11 თვის განმავლობაში ქარხანამ სოციალისტურ სამშობლოს მისცა 7,8 მილიონი მანეთის მოგება და ამგვარად გაიმარჯვა ჩელიაბინსკისა და ზაპოროჟიეს ქარხნებთან შეჯიბრებაში.

ამ წარმატებათა მოპოვებაში უდავოდ უდიდესი როლი შეასრულა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს გასული წლის 28 დეკემბრის დადგენილების მტკიცედ გატარებამ. ქარხანაში წინათ ცოტა როდი იყვნენ ფრენიები, ცუღლუტები, სამუშაოს გამცდენები — წარმოების დეზორგანიზატორები, რომლებიც ცდილობდნენ რაც შეიძლება ნაკლები ემუშავნათ და მეტი ფული წაეღლიჯათ სახელმწიფოსათვის.

მაგრამ ასე აღარ არის ახლა. მინიმუმამდე შემცირდა გამცდენთა და დამგვიანებელთა რიცხვი. ამაღლდა პასუხისმგებლობის გრძნობა და განმტკიცდა შრომის დისციპლინა. ამ მხრივ სანიმუშოდ მუშაობს სადნობი საამქრო, რომელმაც წლიური გეგმა ჯერ კიდევ 27 ნოემბრისათვის შეასრულა და რომელსაც ხელმძღვანელობს მედალით „შრომითი მამაცობისათვის“ დაჯილდოებული ინჟინერი ლ. მაღლაკელიძე. შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან დნობის ცნობილი ოსტატები ა. ვანდიშევი, ლ. ბრეგვაძე, ვ. გველია, გ. კაპანაძე, ი. კოვინი, ს. კოსინი და სხვები. მათ იციან დროის ფასი, არცერთ წუთს არ ჰკარგავენ უნაყოფოდ და სამუშაო დღის გაცდენის ან დაგვიანების არცერთი შემთხვევა არა აქვთ.

ამიტომ არის, რომ ისინი ფერომარგანეცის დნობის გეგმას 150-200 პროცენტით ასრულებენ, ამიტომ იყო, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისარმა ამხ. ფ. მერკულოვმა ქარხნის 27 მოწინავე ადამიანთან ერთად ისინი შავი მეტალურგიის ფრიადოსნის ნიშნითა და ქების ფურცლით დააჯილდოვა, ამიტომაა, რომ ქარხნის კოლექტივს ხელთ უპყრია შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატისა და შავი მეტალურგიის მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

ეჭვი არ არის, რომ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშათა კოლექტივი კიდევ უფრო განამტკიცებს შრომის დისციპლინას, არ დაუშვებს სამუშაო დროის ფლანგვას და ახალი საწარმოო გამარჯვებებით აღნიშნავს მომავალ სამეურნეო წელსაც.

პ. ჭიოკაძე
ვ. გოგიაშვილი

თბილისის მაუდის ფაბრიკის ძაფის უფროსი მიმმართველი, თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატი ლიდა კვარაცხელია ნორმებს სისტემატურად ასრულებს 125-130%.
ფოტო რ. აკოფოვისა.

ფინელი ხალხის დიდ მეგობარს ამხანაგ სტალინს

შევიკრიბენით რა ხალხმრავალ მიტინგზე ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცი წლისთავის აღსანიშნავად. ჩვენ, ფინელ და კარელ ხალხთა შვილები, დანაშაულებრივი პლუტოკრატიისა და იმპერიალიზმის უღლისაგან ფინელი ხალხის განთავისუფლებისათვის დღევანდელი ბრძოლის ცეცხლით ალგზნებულნი გითვლით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ღრმა პატივისცემით გამსჭვალულ ჩვენს მხურვალე საბრძოლო სალამს.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთის ცარიზმი სჩაგრავდა ჩვენს ხალხს, ხოლო ფინეთის მსხვილი კაპიტალის წარმომადგენელნი ვერცხლის ფასად ჰყიდდნენ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს ცარიზმის სასარგებლოდ, თქვენ, ამხანაგო სტალინ, ლენინთან ერთად, უმაგალითო ბრძოლას ეწეოდით ფინელი ხალხის, ისე როგორც სხვა ჩაგრულ ხალხთა თავისუფლებისა და თვითგამორკვევის უფლებისათვის. 1917 წელს, როცა რუსეთის ბურჟუაზიის დროებითი მთავრობა ფინეთის მიმართ განაგრძობდა ცარიზმის იმპერიალისტურ პოლიტიკას, თქვენ, ამხანაგო სტალინ, ლენინთან ერთად ხელმძღვანელობას უწევდით ბოლშევიკების პარტიის ბრძოლას ფინეთისათვის სრული დამოუკიდებლობის მისანიჭებლად. და 1917 წლის ოქტომბერში რუსეთის მუშათა კლასმა ლენინის ხელმძღვანელობით და თქვენი ხელმძღვანელობით, მოიპოვა რა დიდი სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, სამუდამოდ გამოჰგლიჯა ფინეთი რუსეთის იმპერიალიზმის ბრჭყალებიდან.

ჩამოხვედით რა ფინეთში მალევე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, თქვენ, ამხანაგო სტალინ, განაცხადეთ, რომ ფინეთის მიმართ საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის ხელმძღვანელი საწყისი მდგომარეობს შემდეგში:

„საკუთარი ცხოვრების მოწყობის სრული თავისუფლება ფინელ ხალხს, ისე როგორც რუსეთის სხვა ხალხებს! ფინელი ხალხის ნებაყოფლობითი პატიოსანი კავშირი რუს ხალხთან! არავითარი მეურვეობა და არავითარი ზედამხედველობა ფინელ ხალხზე!

ასეთია სახალხო კომისართა საბჭოს პოლიტიკის ხელმძღვანელი საწყისები“.

ამ დებულებათა შესაბამისად საბჭოთა მთავრობამ თქვენი წინადადებით დაადგინა სრული დამოუკიდებლობა მიანიჭოს ფინეთს. მაგრამ ფინეთის კაპიტალისტები და მემამულეები, რომელთაც ეშინოდათ საკუთარი ხალხისა, ამიტომ ეშინოდათ ფინეთის სრული დამოუკიდებლობისა და ისწრაფოდნენ უცხოელი იმპერიალისტებისათვის მიეყიდნათ ქვეყნის დამოუკიდებლობის ინტერესები, რათა უზრუნველეყოთ მათი დახმარება ფინელი ხალხის თავისუფლების ჩასახშობად. მაშინ თქვენ, ამხანაგო სტალინ, თქვენს ისტორიულ სიტყვაში, რომელიც ქალ. ჰელსინკის სახალხო სახლში წარმოსთქვით 1917 წლის 27 ნოემბერს, მთელი დამაჯერებლობით მიმართეთ ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებს, რათა ჩაენერგათ მათთვის გაბედულება თავგამოდებული ბრძოლისათვის გაბატონებული პლუტოკრატიის წინააღმდეგ. და ფინეთის მუშათა კლასმა ქედი არ მოიხარა კლასობრივი მტრის წინაშე, არამედ მალე აშკარა ბრძოლა გააჩაღა და ძმური დახმარება მიიღო თქვენგან საბჭოების ქვეყნის მუშებისაგან. ბოლშევიკებისაგან. მაგრამ მაშინ საბჭოთა სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შესწევდა ძალა დაეცვა ფინელი ხალხი უცხოელი იმპერიალისტებისაგან. ფინეთის თეთრგვარდიელმა მესვეურებმა იმ ჯარების დახმარებით, რომლებსაც უცხოელი იმპერიალისტები გზავნიდნენ, დაამარცხეს მუშათა და ტორპართა მებრძოლი რაზმები.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის დარბეული და სისხლში ჩახრჩობილი, ბორკილდადებული მუშათა კლასი სასოწარკვეთილებას არ მისცემია. მას ამხნევებდა ჩვენამდე მოღწეული ცნობები საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ძლევამოსილი ბრძოლის შესახებ, რომელსაც ბოლშევიკების პარტია ხელმძღვანელობდა. მას ამხნევებდა და აფრთოვანებდა თქვენი დიდი მაგალითი, ამხანაგო სტალინ. მათ აფრთოვანებდნენ მსოფლიოისტორიული გამარჯვებანი, მიღწეულნი თქვენი ხელმძღვანელობით,—წითელი არმიის გამარჯვებანი სამოქალაქო ომის ფრონტებზე, სოციალიზმის მშენებლობის გამარჯვებანი სოციალისტური მრეწველობისა და საკოლმეურნეო მიწათმოქმედების განვითარების გრანდიოზულ ხუთწლიან გეგმათა განხორციელების საქმეში.

ფინელი ხალხის ფართო მასები მუდამ გრძნობდნენ, რომ სოციალისტური საბჭოთა კავშირის ხალხთა ძლიერების ზრდასთან ერთად მტკიცდებოდა მძლავრი დასაყრდენიც ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის. ფინეთის ხალხის მასების ექსპლოატატორებს სძაგდათ საბჭოთა ქვეყნის მიღწევები, მათ აშინებდა ეს მიღწევები; ხოლო ჩვენთვის, ფინეთის მშრომელთათვის, ისინი წარმოადგენდნენ სიხარულისა და იმედების დაუშრეტელ წყაროს. ჩვენ, ამხანაგო სტალინ, ჩვენს საკუთარ გამარჯვებად მიგვაჩნდა თქვენი გამარჯვებანი. ჩვენ აღფრთოვანებით მივესალმეთ საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციას. ხალხის საზიზღარი მტრების განადგურებაში ჩვენ ვხედავდით სოციალიზმის ქვეყნის გამარჯვებას კაპიტალისტურ გარემოცვასთან ბრძოლაში. ხოლო როცა დაიწყო მეორე იმპერიალისტური ომი კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, ჩვენ განსაკუთრებით ცხოვლად ვიგრძენით, თუ რაოდენ ძვირფასია ხალხთათვის სტალინური სამშვიდობო პოლიტიკა.

მთელი მსოფლიოს მილიონობით მუშები და სხვა ყველაზე მოწინავე ადამიანები სწავლობდნენ და კვლავაც ისწავლიან თქვენგან, ამხანაგო სტალინ. როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად, თქვენ, ანვითარებთ რა მარქს-ენგელს-ლენინის დიად მოძღვრებას, მშრომელ კაცობრიობას მიეცით ცოდნისა და გამოცდილების უმდიდრესი წყარო მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის და ბრძოლისა და გამარჯვებათა ბოლშევიკური ხელოვნების დაუფლებისათვის. მთელი თქვენი ცხოვრება წარმოადგენს სიბრძნისა და გმირობის ნიმუშს მთელი მსოფლიოს რევოლუციონერთათვის. და ატარებდნენ რა გულში თქვენი სახე, ფინეთის ათასობით კომუნისტები ამაყად თავაწეულნი მიდიოდნენ საპყრობილეებში, მამაცურად იტანდნენ ყოველგვარ წამებას გამხეცებულ თეთრგვარდიელებისაგან. თვალწინ უდგათ რა თქვენი სახე, ყველა შეგნებული მუშები ახლაც შეუპოვარ ბრძოლას ეწევიან კაპიტალისტთა და მემამულეთა ტირანიის დამხობისათვის, იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა სამუდამოდ გაათავისუფლონ იმპერიალიზმის ბორკილებისაგან. მრისხანე მომენტში, როცა ფინეთისა და საბჭოთა კავშირის იმპერიალისტმა მტრებმა ჯაჭვიდან აუშვეს თეთრფინელი დაქირავებული აგენტები და დანაშაულებრივ სამხედრო ავანტიურაში ჩააბეს ჩვენი ხალხი, ამ აშკარა საფრთხის მომენტში საბჭოთა კავშირის მამაცი წითელი არმია დაუყოვნებლივ გამოეშურა ჩვენი მშრომელი ხალხის დასახმარებლად. კვლავ, ამხანაგო სტალინ. თქვენ დახმარების ძმური ხელი გაუწოდეთ ჩვენს ხალხს მის ბრძოლაში თავისი განთავისუფლებისათვის. და ჩვენ ყველამ, ფინეთისა და კარელიის შეგნებულმა მუშებმა, ჩვენი ხალხის ბრწყინვალე მომავლის წარმომადგენლებმა, უდიდეს ბედნიერებად ჩავთვალეთ მიგველო თქვენ მიერ გამოწვდილი ხელი, რათა საერთო ძალღონით საბოლოო გამარჯვებამდე მიგვეყვანოთ ფინელი ხალხის განთავისუფლების საქმე.

დიდი აღფრთოვანებით შევხვდით ჩვენ ცნობას დიად საბჭოთა კავშირსა და ფინეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის ხელშეკრულების დადების შესახებ, ხელშეკრულებისა, რომლის დადებაში თქვენ, ამხანაგო სტალინ, პირადი მონაწილეობა მიიღეთ და რომლითაც უზრუნველყოფილია ფინეთის დამოუკიდებლობა და უშიშროება, რომლითაც ხორციელდება ფინელი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება კარელი ხალხის ფინეთის ერთიან სახელმწიფოში შესვლის შესახებ და რომელმაც საიმედო საფუძველი ჩაუყარა მტკიცე მეგობრულ ურთიერთობას ფინეთსა და დიად საბჭოთა კავშირს შორის. ამ, მსოფლიო ისტორიაში წინათ უმაგალითო, ნაციონალური პოლიტიკით, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მტაცებლურ პოლიტიკას, თქვენ სავსებით მოინადირეთ ფინელი ხალხის გული და მოიპოვეთ მისი ერთგულება. და ახლა ჩვენ მტკიცედ ვართ დაიმედებული, რომ ჩვენი მშრომელი ხალხის ფართო მასები, გაიმსჭვალებიან რა თქვენი ნაციონალური პოლიტიკის სულით, პროგრესიული კაცობრიობის მოწინავე რიგებში იბრძოლებენ მსოფლიოს ყველა ხალხთა თავისუფლებისა და ძმობისათვის. სიამაყითა და სიხარულით ივსება ჩვენი გული დღეს, როცა ათიათასობით ჩვენს ამხანაგთან ერთად, რომელნიც ფრონტის მეორე მხარეზე შიდა ფინეთში იბრძვიან ხალხის თეთრფინელ ჯალათების წინააღმდეგ, ვურთდებით იმ საბრძოლო მისალმებებს, რომლებსაც მსოფლიოს ყოველი კუთხიდან გიგზავნიან მშრომელნი თქვენ, ამხანაგო სტალინ.

სალამი თქვენდა, ბელადო—საბჭოთა ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელების უდიდეს გამარჯვებათა სულისჩამდგმელო!

სალამი თქვენ, ფინელი ხალხის დიდ მეგობარსა და განმათავისუფლებელს!

ჩვენ ფიცსა ვდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ სტალინის დროშის ქვეშ მსოფლიოს ყველა ხალხთა თავისუფლებისა და ძმობისათვის!

ფინეთის სახალხო არმიის 1-ლი კორპუსის მეომრები და მეთაურები.

ა. ანტილა	ა. კუხა
მ. ლაიტინენი	ი. ხეინონენი
მ. ლიუკონენი	ი. მაკონენი
ა. სუსი	ა. კაუპი
მ. ვიარი	ვ. კარხუ
ი. ახონენი	ღ. მანინენი
	და სხვ.

მისალმებას ხელი მოაწერა სახალხო არმიის 5.775 მეთაურმა და მეომარმა, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ მიტინგზე ქალ. ტერიოკში 1939 წ. 21 დეკემბერს.

ტერიოკი. 21 დეკემბერი 1939 წ.

სტალინური კოლექტივიზაციის ზეიმი

ათი წლის წინათ, 1929 წ. 27 დეკემბერს, „დიადი გარდატეხის წლის“ დამლევს, ამხანაგი სტალინი გამოვიდა აგრარიკოს - მარქსისტთა კონფერენციაზე სიტყვით „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“. ამ გამოსვლამ რევოლუციური თეორიის ბრწყინვალე პროჟექტორით გააშუქა საკოლმეურნეო წყობილების შექმნის გზა. წყობილებისა, რომელიც იბადებოდა კულაკობის და მისი დამქაშების წინააღმდეგ გაფიცხებული ბრძოლის ქარცეცხლში.

კოლექტივიზაციის რელსებზე გლეხობის მობრუნება მომზადებული იყო პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მთელი წინა პოლიტიკით, რომელიც ცხოვრებაში ატარებდა ლენინის ანდერძს. სტალინური ინდუსტრიალიზაციის პირმშომ—მსხვილმა სოციალისტურმა მრეწველობამ დაიწყო სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორებისა და მანქანების მასობრივი გამომუშავება. სოფელმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკმაოდ დიდი გამოცდილება დააგროვა. ფართოდ ცნობილი გახდნენ პირველი საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმატებანი სახელმწიფო ეხმარებოდა კოლმეურნეობებს მანქანებით, ფულით, ადამიანებით, რჩევა-დარიგებებით. მთელ ფრონტზე გაიშალა ბრძოლა კულაკობის წინააღმდეგ. გლეხთა მასების წინაშე გაიხსნა უკეთესი ცხოვრების ფართო გზა, და ისინი ამ გზისაკენ მობრუნდნენ.

დაგვეყენებინა გლეხობა სოციალიზმის წითელი ალამის ქვეშ — ეს ნიშნავდა გადაგვეწყვიტა სოციალისტური რევოლუციის ყველაზე ძნელი, ყველაზე რთული და ამავე დროს ყველაზე მთავარი ამოცანა მუშათა კლასის მიერ ხელისუფლების მოპოვების შემდეგ.

ბურჟუაზია და მისი აგენტები — პროვოკატორები ტროცკისტულ-ბუხარინული ხროვიდან ცდილობდნენ შეეტანათ უთანხმოება, გამოეწვიათ განხეთქილება მუშებსა და გლეხებს შორის. ისინი ძირითად იმედს იმაზე ამყარებდნენ, რომ მუშათა კლასი ვერ შესძლებს გაიყოლიოს გლეხობის მასები სოციალიზმისკენ. ლენინ-სტალინის პარტიამ გააცამტვერა მტრების ეს იმედები.

სოფლის სოციალისტური გარდაქმნა — ეს არის ბოლშევიკების ერთ-ერთი ყველაზე დიდებული გამარჯვება, ახალი სამყაროს დაბადების მატიანეს ერთერთი ყველაზე უჭკნობი თავი. უნდა დაგვეძრა და წაგვეყვანა გლეხობის ასმილიონიანი მასა ახალი გზით, რომელიც ჯერ კიდევ არსად, არასოდეს, არავისთვის არ იყო ნაცნობი. ძირფესვიანად უნდა გარდაგვექმნა შრომის, მეურნეობის წარმოებისა და საუკუნეებით ჩამოყალიბებული ცხოვრების პირობები, აგვეფორიაქებინა ათასწლოვან ტრადიციათა სქელი ფენა. უნდა დაგვემარცხებინა აშკარა ბრძოლაში უკანასკნელი და ყველაზე მრავალრიცხოვანი ექსპლოატატორული კლასი — კულაკობა. ამ ურთულესი ამოცანის წარმატებით გადაჭრას ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი უნდა უმადლოდნენ უწინარეს ყოვლისა ამხანაგ სტალინის გენიალურ ხელმძღვანელობას, რევოლუციური სტრატეგიისა და ტაქტიკის მის შეუდარებელ ოსტატობას, მეცნიერული წინასწარგანჭვრეტის მის უბადლო უნარს, იმას, რომ მან გიგანტურად განავითარა და გაამდიდრა მარქს-ლენინის უკვდავი მოძღვრება.

რომ უზრუნველგვეყო საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება, საჭირო იყო გაგვენადგურებინა ხალხის უბოროტესი მტრები — ტროცკისტები, ბუხარინელები და სხვა სიბილწე, ბოლო მოგვეღო მტრული ცრუმეცნიერული გამონაგონებისათვის, შეგვეიარაღებინა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკოსები მარქსისტულ-ლენინური თეორიის მძლავრი იარაღით, თეორიულად მოგვესაზრა ახალი გამოცდილება, მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი ნაბიჯების პრაქტიკა, რომელიც წარმოშობდა ახალ მიდგომას სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტული პრობლემებისადმი. ეს ამოცანები შეასრულა ამხანაგმა სტალინმა თავის ნაშრომში „აგრარული პოლიტიკის საკითხებისათვის სსრ კავშირში“, რომელიც წარმოადგენს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უძლეველი მოძღვრების უდიდესი ცხოველუნარიანობის, უდიდესი დამრაზმავი, მაორგანიზებელი და გარდამქმნელი ძალის ერთერთ უშესანიშნავეს მაგალითს.

ამ ნაწარმოებში ამხანაგმა სტალინმა გამოააშკარავა მთელი არარაობა და სიცრუე მთელი რიგი ბურჟუაზიული ცრუშეხედულებებისა და ანტიმარქსისტული „თეორიებისა“, რომლებსაც ჩვენი პარტიის მტრები იყენებდნენ კულაკობის დაცვის, საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის იარაღად. ბურჟუაზიული მონაჭორი სახალხო მეურნეობის სექტორების „წონასწორობის“ შესახებ, პროვოკაციული „თეორია თვითდინებისა“ სოციალისტურ მშენებლობაში, კულაკური თეორია წვრილგლეხური მეურნეობის „სიმტკიცისა“, ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციისათვის სახელის გატეხის, კოლმეურნეობებისათვის სახელის გატეხის მტრული ცდები,—ბურჟუაზიისა და მისი ტროცკისტ-ბუხარინელი დაქირავებული აგენტების მთელი ეს იდეოლოგიური საჭურველი გაცამტვერებულ იქნა სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკის სტალინური განზოგადების ძალით, სტალინური ლოგიკის შეურყევლობით.

მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი ნაბიჯების გამოცდილების საფუძველზე ამხანაგმა სტალინმა მოგვცა კოლმეურნეობის, როგორც მეურნეობის სოციალისტური ფორმის, ბუნების ღრმა მარქსისტული ანალიზი. იმის მსგავსად როგორც ლენინმა ცხადჰყო საბჭოების, როგორც მუშათა კლასის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის მნიშვნელობა, ამხანაგმა სტალინმა ცხადჰყო კოლმეურნეობების, როგორც სოფლის სოციალისტური გარდაქმნის ორგანიზაციული ფორმის მნიშვნელობა და კერძოდ, სასოფლო - სამეურნეო არტელის, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის ძირითადი ფორმის მნიშვნელობა. ეს აღმოჩენა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დიად მონაპოვართა პირველ რიგში დგას. მან უჩვენა ათეულმილიონობით ადამიანებს გამოსავალი სიბნელიდან და სილატაკიდან, პირდაპირი გზა შეძლებული, კულტურული ცხოვრებისაკენ.

ამხანაგმა სტალინმა დაასაბუთა გადასვლა მთლიან კოლექტივიზაციაზე და ამ საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაზე. 1930 წ. 5 იანვარს ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგ სტალინის წინადადებით მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება „კოლექტივიზაციის ტემპის და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის სახელმწიფოს დახმარების ღონისძიებათა შესახებ“. მოიხსნა განკულაკების აკრძალვა. უკანასკნელი ექსპლოატატორული კლასი დამარცხებულ იქნა აშკარა ბრძოლაში, აღგვილ იქნა.

მთლიანი კოლექტივიზაცია და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია სამართლიანად ითვლება უღრმეს რევოლუციურ გადატრიალებად, რომელიც თავისი მნიშვნელობითა და თავისი შედეგებით 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციური გადატრიალების თანაბარმნიშვნელოვანია. ეს იყო ნახტომი საზოგადოების ძველი თვისობრივი მდგომარეობიდან ახალ თვისობრივ მდგომარეობაში. ბრძენმა მესაჭემ გამოატარა საბჭოთა საზოგადოების ხომალდი დიდ სიძნელეებსა და წყალქვეშა ქვებზე, ააშკარავებდა რა მტრების ყველა ფანდებსა და მანევრებს, თავიდან გვაცილებდა რა საფრთხეს, რაზმავდა რა მასებს ბრძოლისათვის და ახალი ცხოვრების მშენებლობისათვის.

ძირფესვიანად შეიცვალა საბჭოთა სოფლის სახე, მთელი ჩვენი ქვეყნის სახე. საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა. წარმოების სოციალისტური წესი განუყოფლად ბატონობს როგორც ქალაქად, ისე სოფლად. 25 მილიონი წვრილი და უწვრილესი ერთპიროვნული მეურნეობის ადგილი დაიკავა 240 ათასმა კოლმეურნეობამ. საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი მშრომელი კლასი კაცობრიობის ისტორიაში პირველად ეზიარა კოლექტიური, ამხანაგური წარმოების ცხოველმყოფელ წყაროს, ჩვენი ქვეყანა გახდა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი, ყველაზე მოწინავე სოციალისტური სოფლის მეურნეობის სამშობლო გაჰქრა კულაკური კაბალის შხამიანი ღვარძლი, მოისპო სოფლად სილატაკის, პაუპერიზმის ფესვები. სამუდამოდ მოეღო ბოლო ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარ ექსპლოატაციას.

კოლმეურნეთა შრომა შეიარაღებულია მაღალნაყოფიერი მოწინავე ტექნიკით. ნახევარ მილიონზე მეტი ტრაქტორი, 165 ათასი კომბაინი, 200 ათასზე მეტი სატვირთო ავტომანქანა, მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა მუშაობს თვალუწვდენ სოციალისტურ მინდვრებზე. თითქმის ოთხი ათასი საბჭოთა მეურნეობა, ექვსნახევარი ათასი სამანქანო-სატრაქტორო სადგური შედის სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში. ამჟამად სოფლად გაიზარდნენ წინათ აქ არნახული პროფესიების მილიონობით მუშაკები — ტრაქტორისტები, კომბაინერები, შოფერები, მექანიკოსები. სასოფლო-სამეურნეო შრომა თავისი ტიპით სულ უფრო და უფრო უახლოვდება ინდუსტრიულ შრომას, საუკუნეობრივი დაპირისპირება ქალაქსა და სოფელს შორის წარსულს ჰბარდება.

საკოლმეურნეო შრომა სულ უფრო და უფრო ხელშესახებ ნაყოფს იძლევა. წლითიწლობით იზრდება მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი, უფრო სრულწონიანი ხდება საკოლმეურნეო შრომადღე. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ უკვე მარშან ერთნახევარჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. წარმატებით სრულდება ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ამოცანა — მივაღწიოთ მარცვლეულის 7-8 მილიარდ ფუთ მოსავალს. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ — კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე მიღწევათა ამ სტალინურმა დათვალიერებამ — მთელ მსოფლიოს დაანახვა, თუ რა სასწაულების მოხდენა შეუძლია თავისუფალ, შემოქმედებითს სოციალისტურ შრომას იმ მიწაზე, სადაც აღგვილია ინდივიდუალური მეურნეობის მიჯნები, სადაც ძირფესვიანად აღმოფხვრილია ექსპლოატაცია.

სასოფლო-სამეურნეო არტელი სწორად ახამებს კოლმეურნეთა პირად საყოფაცხოვრებო ინტერესებს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ ინტერესებთან, მოხერხებულად უფარდებს კოლმეურნეთა პირად საყოფაცხოვრებო ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებს. პარტია რაზმავს კოლმეურნეთა მასებს სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯებათა წინააღმდეგ, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების განიავებისა და პირადი მეურნეობის გაბერვის წინააღმდეგ საბრძოლველად, საზოგადოებრივი მემინდვრეობისა და მეცხოველეობის—კოლმეურნეთა კეთილდღეობის საფუძვლის შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა გლეხობა—ეს არის გლეხობა, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში არასოდეს ყოფილა. მან მტკიცედ, სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ბედი სოციალიზმს. საკოლმეურნეო სოფლის შვილები მუშათა კლასისა და საბჭოთა ინტელიგენციის შვილების გვერდით თავიანთი მკერდით იცავენ სოციალიზმის საქმეს ჩვენი დიადი სამშობლოს შეიარაღებულ ძალთა რიგებში. სტალინის სახელით გულში ისინი ამრავლებენ საგმირო საქმეებს ხმელეთზე, წყალზე, ჰაერში.

საბჭოთა საზოგადოება, ექსპლოატაციის უღლისაგან თავისუფალი, წარმოადგენს მუშათა, გლეხთა, ინტელიგენციის მეგობრული თანამშრომლობის სურათს. „ამ ერთობის საფუძველზე გაიშალა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი“ (სტალინი).

ეს მძლავრი მამოძრავებელი ძალები წარმოშობენ ქალაქისა და სოფლის სტახანოველთა სასახელო საქმეებს, ისინი სცოცხლობენ საგმირო საქმეებში ბრძოლის ველზე, ისინი ხორციელდებიან კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებით საყოველთაო-სახალხო არჩევნებში, რომლებიც მჭერმ[illegible] როგორც მეგობრებისათვის, ისე მტრებისათვის.

გავა საუკუნეები განთავისუფლებული კაცობრიობის მეხსიერებიდან სამუდამოდ გაჰქრება კაპიტალიზმის მხეცური სახე, მაგრამ მარად იცოცხლებენ ადამიანთა შეგნებაში გენიალური სტალინური ნაწარმოებნი, სადაც ყოველი სტრიქონი ტყვიასავით ხვდება სოციალიზმის მტრებს, სადაც ყოველი სიტყვა ბრწყინვალედ დადასტურდა განვითარების მთელი მსვლელობით, სოციალიზმისათვის ხალხთა მასების ბრძოლის მთელი ისტორიით.

„პრავდის“ მოწინავე, 27/XII.

გებელსის გამოსვლა

ლონდონი, 26 დეკემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი იუწყება, ამ დღეებში გებელსი გამოსულა კრებაზე, რომელსაც დასწრებიან ბალტიის ქვეყნებიდან გადასახლებული გერმანელები და აგრეთვე საარის ოლქიდან ევაკუირებული მოქალაქენი.

ამ კრებაზე გებელსს განუცხადებია:

„ჩვენ ან უნდა მოვიგოთ ახლანდელი ომი, ან აღარ ვიარსებებთ როგორც დიდი სახელმწიფო. გერმანელ ხალხს ვერასოდეს ვერ დააშორებ თავის ფიურერს. გერმანია დღევანდელ შობას გამარჯვების ღრმა რწმენით დღესასწაულობს".

შეეხო რა ბალტიის ქვეყნებში მცხოვრებ გერმანელთა რეპატრიაციას, გებელსმა განაცხადა: „ჩვენ ვიცით, რომ ეს ღონისძიება მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ამჟამად არსებულ მდგომარეობაში მსხვერპლი აუცილებელია. საჭიროა, რომ გერმანიაში სხვადასხვა დაბრკოლებას და სიძნელეს არ განიცდიდეს ვინმე. მაგრამ, რასაკვირველია, გერმანიაში ვერ იპოვით ვერც ერთ ისეთ ადამიანს, რომელიც არ დასთანხმდეს მსხვერპლის გაღებას, როდესაც გერმანიის არსებობის საკითხი სწყდება.

თუ ომის პირველი კვირეების განმავლობაში ინგლისი და საფრანგეთი ცდილობდნენ მთელი მსოფლიო დაერწმუნებინათ, რომ ისინი მხოლოდ ჰიტლერიზმის წინააღმდეგ გამოდიან და სურვილი არა აქვთ ზიანი მიაყენონ გერმანელ ხალხს, დღეს უკვე აღარავინ არა ცდილობს დამალოს ის ფაქტი, რომ მოკავშირეთა ძირითად მიზანს წარმოადგენს გერმანიის დანგრევა. სიმართლე რომ ვთქვათ, მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, რომ ვიცოდეთ თუ ვის უნდოდა ეს ომი. ამჟამად ჩვენ ომის მდგომარეობაში ვიმყოფებით, და ეს ფაქტი არის ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანი".

ლიტვის დეპეშათა სააგენტო უარყოფს

პარიზი, 26 დეკემბერი (საქდესი). ლიტვის დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს შემდეგ უარყოფას: „ზოგიერთი გაზეთის მიერ გავრცელებული და იტალიის გაზეთ „მესაჯეროში" გადაბეჭდილი ცნობა, რომლის თანახმად ლიტვის ვაშინგტონელმა დესპანმა, ვითომც განაცხადა: სსრ კავშირი საომარ მოქმედებას ამზადებს ბალკანეთის ქვეყნების წინააღმდეგო, თავიდან ბოლომდე მოჭორილია და მთლიანად ფანტაზიას წარმოადგენს".

ინგლისმა ხელთ იგდო „საკონტრაბანდო" საქონელი

ლონდონი, 27 დეკემბერი (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს წარსულ კვირას, რომელიც 23 დეკემბერს დამთავრდა, კონტრაბანდის წინააღმდეგ მებრძოლმა ინგლისის კონტროლმა დააკავა 6.824 ტონა „საკონტრაბანდო" საქონელი. ეს საქონელი როგორც ჰფიქრობენ, გერმანიისთვის იყო განკუთვნილი. დაკავებულ საქონელთა რიცხვში არის: 4.568 ტონა ნავთი და ნავთის პროდუქტები, 660 ტონა ბამბა, 614 ტონა საკვები პროდუქტები, 214 ტონა ხელოვნური ბოჭკო, 212 ტონა კალა, 105 ტონა კაუჩუკი, აგრეთვე დიძალი ზეთი, ცხიმი, მარცვლეული, მატყლი, ტყავი და ხე-ტყე.

თავდასხმა დუბლინის ფორტზე

ბერლინი, 27 დეკემბერი (საქდესი). 24 დეკემბერს ქ. დუბლინში, ეირეს დედაქალაქში უცნობი შეიარაღებული პირნი თავს დაესხნენ ირლანდიის ერთერთ ფორტს. ფორტის შესავალში გაჩნდა უცნობი პირი, რომელსაც ხელში ეჭირა გახვეული ნივთი; მან განაცხადა, რომ სურვილი აქვს პირადად გადასცეს ეს ნივთი ფორტის უფროსს. როგორც კი მოახერხა უცნობმა მცველების მთელი ყურადღების მიპყრობა, უეცრად ყოველ მხრიდან გაჩნდნენ მისი თანამონაწილენი — 50-დან 100-მდე კაცი,— რომლებმაც განაიარაღეს მცველები. თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მცველებმა ვეღარ მოასწრეს განგაშის ატეხა. ამასობაში თავდასხმის მონაწილენი ფორტში შეიჭრნენ. მათ ხელთ იგდეს იარაღი და საბრძოლო მასალა და მიიმალნენ. წაღებულია დიდძალი ხელის იარაღი. ფორტის მახლობლად მდებარე პარკის დარაჯმა, რომელსაც ხმაურობა და ალიაქოთი მოესმა ფორტიდან, განგაშის ატეხა სცადა, მაგრამ მას სროლა აუტეხეს თავდასხმის მონაწილეებმა და მძიმედ დასჭრეს. როგორც გამოძიებამ გამოარკვია, თავდასხმა კარგად იყო მომზადებული. თავდამსხმელთა შესახებ აქამდე არაფერი არ იციან.

დასავლეთის ფრონტზე

საფრანგეთის ცნობაში საომარი მოქმედების შესახებ ნათქვამია, რომ 27 დეკემბერს ფრონტის მრავალ უბანზე გერმანელები განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ. საფრანგეთის მოწინავე პოზიციების მიმართულებით ადგილი ჰქონდა მრავალ თავდასხმას. ორ ასეთ ოპერაციას წინ უძღოდა საარტილერიო მომზადება. მდინარე საარის რაიონში მტრის ოცეულმა იერიში მიიტანა საფრანგეთის მოწინავე პოსტზე. მეორე თავდასხმა მოხდა ვოგეზების რაიონში. შეტაკება მოკლე, მაგრამ ცხარე იყო და ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცა.

ცუდი ამინდის გამო ავიაციის მოქმედება უმნიშვნელო იყო. (საქდესი).

ფინელი მუშები თეთრგვარდიულ ფინეთის შესახებ

გაზეთ „დეილ უორკერის" კორესპონდენტმა ამას წინათ ინახულა ფინელთა კოლონია ნიუ-იორკში, სადაც მრავალ მუშასთან ჰქონდა საუბარი. აი რა უამბო ერთმა მათგანმა კორესპონდენტს: „წელს, ზაფხულზე, მე ვიყავი ფინეთში. ყველა, ვისთანაც მე საუბარი მქონდა, მთავრობის წინააღმდეგი იყო. ფინეთში არავითარი თავისუფლება არ არსებობდა. თეთრგვარდიელთა ფინეთში ხალხი შიშობდა, მაგრამ ეშინოდათ ამაზე ლაპარაკისა. მე სიხარულით დავსტოვე ეს „დემოკრატიული" ქვეყანა".

„ერთმა დამსწრეთაგანმა, — სწერს კორესპონდენტი,— მანერჰეიმის შესახებ დაიწყო საუბარი. ყველამ ერთსულოვნად ულრმესი ზიზღი გამოსთქვა ამ ჯალათისადმი. ფინეთის მუშებს სძულთ მანერჰეიმი. მუშები მას ყასაბს უძახიან. მანერჰეიმი ფინელიც კი არ არის. როდესაც მან თეთრგვარდიელებთან ერთად ფინეთში ძალაუფლება ჩაიგდო ხელში, იგი მხოლოდ ორ ფინურ სიტყვას ხმარობდა: „დაჰკა მაგათ". 26 დეკემბერი (საქდესი).

ჰუვერის გამოსვლა ფინელ თეთრგვარდიელთა დასაცავად 1919 წელს

ნიუ-იორკი, 27 დეკემბერი (საქდესი). ამას წინათ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსმა" გამოაქვეყნა ჰერბერტ ჰუვერის წერილი, რომელიც მიმართულია ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტ ვილსონისადმი და დათარიღებულია: „პარიზი, 1919 წლის 26 აპრილი". ამ წერილში ჰუვერი დაჟინებით მოითხოვდა ფინეთის თეთრგვარდიული რეჟიმის ცნობას და ფინეთის თეთრგვარდიული მთავრობისათვის კრედიტების მიცემას. ჰუვერმა მაშინ განაცხადა, თუ სულ მოკლე ხანში ეს რეჟიმი ცნობილი არ იქნება, ფინეთის თეთრგვარდიული მთავრობა ვერ იარსებებსო.

ჰუვერმა იცოდა, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ფინელი ჯალათების წინააღმდეგ იყო განწყობილი. ეს წერილი მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „მე სავსებით შეგნებული მაქვს, რომ მრავალი ადამიანის აზრით, გენერალი მანერჰეიმი ავბედითი ჩრდილს აყენებს დღევანდელ მთავრობას".

მიუხედავად ამისა, ჰუვერს შესაძლებლად მიაჩნდა მანერჰეიმის ფინელ თეთრგვარდიელთა ხროვა ჩაეთვალა „დემოკრატიულ ორგანიზაციად", რომელიც დიპლომატიური ცნობისა და კრედიტების ღირსი იყო.

ინტერესს მოკლებული არ არის აღვნიშნოთ, რომ მოათავსა რა ჰუვერის წერილის ტექსტი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსმა" მორცხვად გამოსტოვა „გენერალ მანერჰეიმის" სახელი. გაზეთმა ნაცვლად „გენერალ მანერჰეიმისა" დასწერა „ვინმე ჯენტლმენი".

„ნიუ-იორკ ტაიმსის" ეს სიყალბე ამ დღეებში გამოამჟღავნა გაზეთმა „დეილი უორკერმა".

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

ლენინის სახელობის რაიონის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

ლენინის სახელობის რაიონის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მშრომელთა დეპუტატების ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1939 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, პარტიის რაიკომის სხდომათა დარბაზში (საბჭოს ქ. № 122).

ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **ვ. გონგაძე**

ლენინის სახელობის რაიონული საბჭოს მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი **გ. თევზაძე**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება.

მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაიონული საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1939 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, პარტკაბინეტის შენობაში, 25 თებერვლის ქ. № 2 (ყოფილი ტატიანოვის ქ.).

სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **მურადაშვილი**

სტალინის სახელობის რაიონული საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი **ბასილაია**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ბერიას სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

ბერიას სახელობის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბერიას სახელობის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტი ადგენს:

მშრომელთა დეპუტატების ბერიას სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1939 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში (ბერიას სახ. მოედანი).

ბერიას სახელობის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბუჟიაშვილი**

ბერიას სახელობის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი **ხურცილავა**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის მოლოტოვის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

მოლოტოვის სახელობის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოლოტოვის სახელობის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტი ადგენს:

მშრომელთა დეპუტატების მოლოტოვის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1939 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საზკვების კლუბის დარბაზში (პლეხანოვის პროსპექტი, № 5)

მოლოტოვის სახელობის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **ლუარსაბიშვილი**

მოლოტოვის სახელობის რაიონის საორგანიზაციო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი **სურგულაძე**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის კიროვის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

კიროვის სახელობის რაიონის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

კიროვის სახელობის რაიონის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მშრომელთა დეპუტატების კიროვის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1939 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში (ა.-კ. ფედერაციის ქ. № 2).

კიროვის სახელობის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი **ა. ბითაძე**

კიროვის სახელობის რაიონული საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი **ი. მაისურაძე**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

ორჯონიკიძის სახელობის რაიონის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

მშრომელთა დეპუტატების ორჯონიკიძის სახელობის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ქალ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1939 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, გაზეთ „კომუნისტის" კომბინატის კლუბის შენობაში (ლენინის ქ. № 28).

ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი **ე. მაზანაშვილი**

ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი **შ. გელოვანი**

მშრომელთა დეპუტატების თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესიის მოწვევის შესახებ

26 კომისრის სახელობის რაიონის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის სახელობის რაიონული საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მშრომელთა დეპუტატების 26 კომისრის სახელობის რაიონული საბჭოს პირველი სესია მოწვეულ იქნას 1939 წლის 30 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის სხდომათა დარბაზში (შაუმიანის ქუჩა № 1).

26 კომისრის სახელობის რაისაბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი **ლლონტი**

რაისაბჭოს პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი **ფანჩიკიძე**

თათბირი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საკითხებზე

28 დეკემბერს თბილისში გაიხსნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების წარმომადგენელთა თათბირი 1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხზე.

თათბირს ესწრებიან სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორის მოადგილე ამხ. პ. ბელიაევი, აზერბაიჯანის სსრ საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. შაფიევი, საგამოფენო კომიტეტის კონსულტანტები ამხ. ლიტოვჩიი, რავა, ბობილოვი, მთავარი საგამოფენო კომიტეტის წარმომადგენელი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში ამხ. დოროფეევი, სომხეთის სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ საგამოფენო კომიტეტის ჯგუფი ამხ. ოვსეპიანის, გუნის, მიკირტიჩიანის, საიანის, სააკიანის, პოპოვისა და ხაჩატურიანის შემადგენლობით, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. ი. წიკლაური, საქ. მიწათმოქმედების სახ. კომისრის მოადგილე ამხ. გ. ალავიძე, აჭარის ასსრ საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. მ. გოგოლიშვილი, აფხაზეთის ასსრ მიწსახკომის მოადგილე ამხ. არ. თოდუა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების გამგე ამხ. ნ. ლომინეიშვილი და საქართველოს სსრ სამიწათმოქმედო ორგანოთა მუშაკები.

თათბირს თავმჯდომარეობს მთავარი საგამოფენო კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. ს. ხოშტარია.

1940 წელს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების მიმდინარეობაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბელიაევი. ამხ. ბელიაევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1940 წლის გამოფენაში მონაწილეთა ნატურალური ექსპონატები გაცილებით მეტი რაოდენობით და უკეთესი ხარისხის უნდა იქნას ნაჩვენები მიმდინარე წელთან შედარებით.

ამხ. ბელიაევმა თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა გამოფენის კანდიდატთა დოკუმენტაციის სწორად შედგენის, ნატურალური ექსპონატების წესიერად მოვლისა და დროულად გადაგზავნის და რესპუბლიკებსა, ოლქებსა და რაიონებს შორის სოციალისტური შეჯიბრების კიდევ უფრო ფართოდ გაშლის საჭიროებაზე.

საქართველოს სსრ საგამოფენო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ალ. თოფურიამ აღნიშნა, რომ ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ საკმაო ყურადღება არ ექცევა კანდიდატების დროულად გამოვლინებას და ექსპონატების მოვლას. ადგილებზე გადაჭრით უნდა გააძლიერონ მუშაობა სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა შესარჩევად გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

თათბირის შემდეგი სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე.

კატასტროფული მიწისძვრა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გეოფიზიკური ინსტიტუტის თბილისის ცენტრალური სეისმური სადგურის სეისმოგრაფებმა, 26 დეკემბერს 23 საათსა 58 წუთსა და 26 წამზე მსოფლიო დროით, (რომელიც თბილისის სადეკრეტო დროს 4 საათით ჩამორჩება), ჩაიწერეს კატასტროფული მიწისძვრა. მიწისძვრა 8-10 ბალის ძალისა იყო და მისი ეპიცენტრალური მანძილი თბილისიდან დაახლოებით 600 კილომეტრზე იმყოფებოდა.

მიწისძვრის კერა მდებარეობს თურქეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

თბილისში ნიადაგის გადაწევა პირველი ბიძგის დროს 400 მიკრონს აღემატებოდა—ჩანაწერი სკალას გადასცილდა.

სოხუმი, 27 დეკემბერი. დღეს სოხუმში დილის 3 საათსა, 58 წუთსა და 26 წამზე ადგილობრივი დროით ძლიერი მიწისძვრა ბიძგები მოხდა; თვითეულმა ბიძგმა რამდენიმე წამს გასტანა. ბიძგები გრძელდებოდა დილის 4 საათსა და 8 წუთამდე. ბიძგები საგრძნობი იყო მოსახლეობისათვის. (საქდესი).

დღეს თეატრებსა და კინოებში

თეატრებში: სახოპერა — „რიგოლეტო" (ტალ. № 79, 1-ლი აბ. V წარმ.); რუსთაველის სახელობის — „ნაპერწკლიდან" (ტალ. № 77); მარჯანიშვილის სახელობის — „მზის დაბნელება საქართველოში".

კინოებში: რუსთაველის სახ. — „ინჟინერ კოჩინის შეცდომა"; ოქტომბერი— „ინჟინერ კოჩინის შეცდომა"; დამკვრელი—„საჰაერო ფოსტა"; კომკავშირელი—„საშობლო"; ლუქსემბურგის სახ. — „საჰაერო ფოსტა"; სპარტაკი — „მასწავლებელი"; 26 კომ. სახ. — „ტრაქტორისტები"; კომინტერნი — „დიდი მოქალაქე" (მე-2 სერია).

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **პ. რატიანი**

28 დეკემბერს თბილისში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელარმიული მხატვრული თვითმოქმედების VI საოლქო ოლიმპიადა. სურათზე: თბილისის საარტილერიო სკოლის მუსიკალურ-ვოკალური ანსამბლი 120 კაცის შემადგენლობით ასრულებს მუსიკალურ ნომერს მესამე რანგის ინტენდანტის ამხ. ჟადაევის ხელმძღვანელობით.

ფოტო რ. აკოფოვისა.

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელარმიული მხატვრული თვითმოქმედების მე-6 საოლქო ოლიმპიადა

გუშინ თბილისში, წითელი არმიის საოლქო სახლის საზეიმოდ მორთულ დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელარმიული მხატვრული თვითმოქმედების VI საოლქო ოლიმპიადა.

თეატრის დარბაზი სავსეა სახელოვანი წითელი არმიის სხვადასხვა ნაწილების მეთაურებით, მათი ოჯახის წევრებით, მოწინავე მებრძოლებით, პარტიულ, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებით.

ტაშის გრიალში ოლიმპიადას ხსნის წითელი არმიის საოლქო სახლის უფროსი, უფროსი პოლიტხელი ამხ. ვერგასოვი.

ოლიმპიადა იწყება № სამხედრო ნაწილის 120 კაცისაგან შემდგარი ვოკალურ-მუსიკალური ანსამბლის გამოსვლით (ხელმძღვანელი — მესამე რანგის ინტენდანტი ამხ. ჟადაევი).

დამსწრეთა საერთო აღტაცებას იწვევს ანსამბლის მიერ შესრულებული სიმღერები „ბოლშევიკების პარტიის ჰიმნი", „მივდივართ, ამხანაგებო, სტალინური გზით" და სხვ.

შემდეგ გამოდის № ნაწილის მუსიკალური ტრიო კურსანტ ჯუროვის ხელმძღვანელობით.

მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლი ამხ. კოჩეგაროვის ხელმძღვანელობით ასრულებს მოლდავურ, უკრაინულ ხალხურ სიმღერებს და ამხ. პოკრასების მუსიკალურ ნაწარმოებს „ტრაქტორისტები".

№ ნაწილის მომღერალთა ქართულმა გუნდმა მესამე რანგის ინტენდანტის ამხ. ფირცხალიშვილის ხელმძღვანელობით შესრულა „სიმღერა სტალინზე", „ხალხური შაირები" ჩონგურის აკომპანიმენტით და ოსური ცეკვა, კურსანტ ირაკლი ალიმბარაშვილისა და ათასეულის მეთაურის შვილის რამაზოვის მონაწილეობით.

ოლიმპიადის პირველ დღეს გამოვიდნენ აგრეთვე: მეთაურთა ცოლებისაგან შემდგარი რუსული ხალხური სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლი ამხ. მილოვანოვის ხელმძღვანელობით, № ნაწილის წითელარმიული ანსამბლი წითელარმიელ რიაბჩენკოს ხელმძღვანელობით, სიმებიანი ორკესტრი ამხ. კოვალევის ხელმძღვანელობით, № ნაწილის 110 კაცისაგან შემდგარი წითელარმიული ანსამბლი ამხ. ნიკოლაევის ხელმძღვანელობით, 14 კაცისაგან შემდგარი უზბეკთა წითელარმიული გუნდი უმცროსი მეთაურის ახმედჯანოვის ხელმძღვანელობით. ინდივიდუალური შემსრულებლებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ბოშური ცეკვების შემსრულებელი ჰანას-ოღლი, კურსანტი კოლუჟნი, უმცროსი მეთაური ასტახოვი და კურსანტი კულევი, რომელთაც წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

დამსწრეებმა ტაშით დააჯილდოვეს სურჟიცი და კალისტი, რომელთაც შეასრულეს დუეტი ოპერიდან „ზაპოროჟეც ზა დუნაემ".

განსაკუთრებული ოსტატობით შეასრულეს ტანვარჯიშის ნომრები ფიზკულტურელმა მებრძოლებმა ამხ. ქინქაძის ხელმძღვანელობით.

როგორც ანსამბლების, ისე ინდივიდუალურ შემსრულებელთა ყოველი გამოსვლა გამსჭვალული იყო საბჭოთა პატრიოტიზმით, გმირობით და თავდადებით, უსაზღვრო სიყვარულით სამშობლოსადმი, საამური ცხოვრების შემოქმედისადმი — დიდი **სტალინისადმი**.

ოლიმპიადას ესწრებოდა ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ამხ. **ტიულენევი**.

ოლიმპიადა გაგრძელდება დღეს საღამოს 7 საათიდან.

ბერიას სახ. კულტურის სახლი (ბერიას სახ. მოედანთან)
1 მაისის ქ. № 10. ელსმენი 3 48-45
29 დეკემბერს — საბჭოთა მუსიკის დეკადა
სიმფონიური კონცერტი
დირიჟორი—თ. დიმიტრიადი, სოლისტი—დ. გამრეკელი (ორდენოსანი)
შესავალი სიტყვა პ. ხუჩუასი.
ბილეთების ფასი 3 მან —8 მანეთამდე. დასაწყისი საღ. 9 ს.
სალარო ღიაა საღამოს 6 საათიდან. 497

მეუღლე ბაბულია, შვილები ბესიკო, ზურაბ, დები მარო, ელისაბედ, დისწული შოთა, ანეტა არეშიძე, სიდედრი კატო იუწყებიან, რომ 30/XII 3½ ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია
ევიფანე ბესარიონის-ძე იმნაიშვილის
პანაშვიდი. 4357

დედა მაკრინე, ძმა კოწია ცოლშვილით, და ნადია შვილებით, ცოლი ნინო იუწყებიან
ნიკოლოზ ნესტორის-ძე ტუღბუჩავას
გარდაცვალებას. გამოსვენება ორჯონიკიძის ქ. № 92—ა 30/XII 4½ ს. კუკიის სასაფლაოზე. 9358

მშობლები ილიკო, კალისტინე, ბიძები სიკო, ისაია, ბიცოლები სონა, მარო გოცირიძეები შვილებით, და ქსენია ბერიძიშვილი ქმარშვილით იუწყებიან
ჟენია ხაინდრავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქუთაისში 30/XII წულუკიძის, 104. 4359

მეუღლე ასპირო, შვილები სიმონ, შალვა, ელენე, თალიკო, რძლები ოლია, ნინო, შვილიშვილები ნოდარ, იულო, ჯუმბერ იუწყებიან
იულო გოგუაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/XII 4 ს. ჰანჯაში (ლანჩხუთის რ.). 4360

ვანანა, ქეთო, მარგო, ლელო, ლიუბა, გიგლა, ვახტანგ, გიორგი და კოწო იუწყებიან გოგას საყვარელი დის
ბაბულიკა ხომასურიძის
გარდაცვალებას. 4362

სახუნ-ტის ბიოლოგიური ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კურსის სტუდენტ ქეთო ბერიას დედის
კატო ბერიას
გარდაცვალების გამო. 4355

ყრუ-მუნჯთა სკოლის თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე სკოლის მასწავლებლის თალიკო გოგუაძის მამის
იულო გოგუაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. აკეთში.

კონსტანტინე, ლელი და დავით ელიოზიშვილი ოჯახობით იუწყებიან
ვარა კონსტანტინეს-ასულ ელიოზიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 29/XII 4½ საათზე რკ. გზის საავადმყოფოს პროზექტურიდან. 4378

მშობლები ცაცა და ვანიჩკა ნოზაძეები იუწყებიან, რომ 30/XII 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია მათთვის უსაყვარლესი ერთადერთი შვილის პატარა
ნინელის
პანაშვიდი. 4368

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურენი იუწყებიან ინჟ. გოგი ნიკოლოზის-ძე ხომასურიძის დის
ბაბულიას
გარდაცვალებას. 4339

შვილები ნინუცა, ელენე, სონია, ბაგრატ, გიორგი, რძალი ნინო ბერიძეები სიძეები მ. ჭანიშვილი, ტ. ხუნდაძე იუწყებიან საყვარელ
მაკრინე დიმიტრის-ასულ დიდია-ბერიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/XII 7 ს. ბესიკის 32. დაკრძალვა 30/XII 4½ ს. 4354

მშობლები ფაიანე, არტიმონა, ძმა ვალია ცოლით ანიკოთი, სიძე ლადო ძაგანია, დები ელიკო, ანიკო იუწყებიან, რომ 30/XII 4 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია დაუვიწყარ
ოთარ ჟუმბურიძის
სამოქალაქო პანაშვიდი. 4356

ბაბუაშვილი, გოცირიძე, თ. და გ. ნოროკიძეები, შ. და ლ. ნოზაძეები, გოქვაძე, ჩილაკაძე, ქავთარაძე, ციციშვილი, თურმანიძიშვილი, გიორგობიანი, ფხალაძე, ყლენტი, ლასურაშვილი, გურასპიშვილი იუწყებიან ოლიკოს დის
ბაბულიკა ხომასურიძის
გარდაცვალებას. 4366

მშობლები ჩესია, მიშა, ბებია ძაძუ, ბაბუა მაქსიმე, ბიძები ვალია, დათიკო, კაკო იუწყებიან, რომ ს. გეგეჭკორში 30/XII დანიშნულია
რაული გრიგოლის-ძე ჩიქოვანის
სამოქ. პანაშვიდი. 4370

მეუღლე ირინე, შვილები ილია, არსენ, ოლია, ევა, რძლები შურა, ნადია ლეჟავეები, შვილიშვილები, სიძეები გედევან რუხაძე, ვასო სტურუა იუწყებიან დაუვიწყარ
მიხეილ ანდრიას-ძე ლეჟავას
გარდაცვალებას. დაკრძალვა 31/XII 4 ს. დიდი-ჯიხაიშში. 4371

მეუღლე სანდრო, შვილები ანზორ, ზაირა, რეზო, დედამთილი აღათი, მულები ანიჩკა, ნუცა, სიძეები პ. ყიფიანი, დ. ჯაფარიძე, ბიძები ევგენ, პლატონ ხაინდრავეები იუწყებიან
ჟენია ილარიონის-ასულ ხაინდრავას
გარდაცვალებას. 4372

ცოლი ალვასი, შვილები მელიტონ, გრიგოლ, დათიკო ჩხეიძეები ცოლშვილით, ქალიშვილი მარუსა გამყრელიძისა იუწყებიან საყვარელ
მეთოდე დავითის-ძე ჩხეიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/XII შორაპანში. 4373

თბილისის ჰიდრომეტსამმართველოს და ობსერვატორიის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სამმართველოს ძველი სპეციალისტის-მეტეოროლოგის
ვასილ თედორეს-ძე ბერძენიშვილის
გარდაცვალებას. 4374

სას.-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკა-მეტეოროლოგიის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან დოც. კოტე კელენჯერიძის ძმის
დათიკო კელენჯერიძის
გარდაცვალებას. 4351

შვილები ალექსანდრე, ნინო, თამარ, მარგო, რძალი მარგალიტა, სიძეები კოტე, გიგა, შვილიშვილები იუწყებიან
მარიამ (მაშო) იოსების-ასულ პაპულაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29/XII 4½ ს. არსენალის შეს. № 20. 4361

მეუღლე ვარლამ, შვილები დავით, ლეჟიკო, ვარდენ, თამარ, გრიშა, რძალი მარიამ და თინა, შვილიშვილები ბუჩქა, კასანდარ იაშვილები იუწყებიან, რომ 30 დეკემბერს სოფ. ტყაჩირში (ქუთაისის რ.) დანიშნულია
ნადია თემურაზის-ასულ იაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი.

ბაბუა ნიკო, ბებია მართა, მამიდა ლუბა, ბიძები ვანო, ვარლამ ცოლშვილით ლეჟავეები, სიძე ბ. გეგეშიძე ცოლშვილით იუწყებიან
პატარა გოგი ვლადიმერის-ძე
ლეჟავას
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/XII 6½ ს. მეჩნიკოვის, 9. გამოსვენება 30/XII 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 4379

ვლადიმერ, ვერა ლეჟავეები იუწყებიან საყვარელ პატარა
გოგის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30/XII კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება მეჩნიკოვის ქ. № 9, 5 ს. პანაშვიდი 29/XII 7½ ს. 4377

თვალის სნეულებათა ინსტიტუტის და კლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამავე დაწესებულების თანამშრომლის პელაგია ზაქარიას-ასულ ნაცვლიშვილის მეუღლის
ვასილ ბერძენიშვილის
გარდაცვალებას. 4365

შვილები დიმიტრი, ბიქტორ, დავით რონინიშვილები, შვილი ლიუდმილა ჩახუნაშვილი ქმრით თენგიზით იუწყებიან საყვარელ
ანასტასია ქუჩუს-ასულ რონინიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 29/XII 5 ს. კლარა ცეტკინის, 90, კუკიის სასაფლაოზე. 4369

მშობლები მარიამ, ივანე (ბეჟან) გულუაშვილები, ქმარი გიორგი, შვილები ლამარა, მერაბ ფურცელაძეები იუწყებიან
ჟენია ივანეს-ასულ გულუაშვილი-ფურცელაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 29/XII 6½ ს. გამოსვენება 30/XII 2 ს. მე-2 კოსისხევის, 37. 4353

შვილიშვილები ვანო, ჯულიეტა ჩხენკელი, თამარ, ლია ჭანიშვილები, ვალოდია, ზაირა ბერიძეები, ჯულიეტა, ივერიკო, ნუნუ, ციალა ხუნდაძეები იუწყებიან საყვარელი ბებიის
მაკრინე ბერიძის
გარდაცვალებას. 4364

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83, ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდება.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ლ—1740